პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 277 (5378) | კვირა, 4 დეკემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

ფართოდ გავშალოთ შეჯიბრება ქვანახშირის მრეწველობაში (მოწინავე)
წარმატებებით ხვდებიან სტალინური კონსტიტუციის დღეს (1-ლი გვ.)
საკოლმეურნეო კადრების მომზადებას ცუდად ხელმძღვანელობენ (მე-2 გვ.)
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში (მე-2 გვ.)
კონსულტაცია—ერთ ქვეყანაში კომუნიზმის აშენების შესახებ. (ფელეტონი, მე-3 გვ.)
თ. ი. ტიუტჩევი (მე-3 გვ.)
ლუიჯი გალვანი (მე-4 გვ.)

უცხოეთში:

ფაშიზმის განადგურება აუცილებელია და იგი უნდა განადგურდეს (1-ლი გვ.)
საომარი მოქმედება ჩინეთში (1-ლი გვ.).
ესპანეთის რესპუბლიკის ელჩის გაწვევა ბრიუსელიდან (1-ლი გვ.)
ჩეხოსლოვაკიის ახალი მთავრობა (მე-4 გვ.).

## ფართოდ გავშალოთ შეჯიბრება ქვანახშირის მრეწველობაში

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის XXI წლისთავთან დაკავშირებით მთელ ჩვენს ქვეყანაში გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება დედა-სამშობლოსათვის ახალი საწარმოო საჩუქრების მოსამზადებლად. წინასაოქტომბრო შეჯიბრებამ თვალსაჩინოდ გაამრავლა საამქროებისა და ქარხნების საწარმოო მიღწევები, ახალი წარმატებანი მოუტანა კოლმეურნეობებს.

გამარჯვებული სოციალიზმის სტალინური კონსტიტუციის ორი წლისთავთან დაკავშირებით სოციალისტური შეჯიბრების ტალღამ ახალი ძალით იფეთქა. მთელი მრავალმილიონიანი და მრავალერიანი საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით ემზადება საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისათვის — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების დღისათვის.

სტალინური კონსტიტუცია საბჭოთა ხალხის ბრძოლისა და გამარჯვებათა შედეგია. ამიტომაც ასეთი სიამაყითა და სიხარულით ემზადება ხალხი მისი მიღების წლისთავის აღნიშვნისათვის. სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ კიდევ უფრო აყვავდა და გაიფურჩქნა ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ხალხთა მეგობრობა, განმტკიცდა და გამდიდრდა ჩვენი დიადი ქვეყანა. სტალინური კონსტიტუციის მიღების წლისთავისათვის მზადებამ საწარმოო აღმავლობის ძლიერი ტალღა გამოიწვია სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. საბჭოთა ადამიანები, სოციალიზმის დიადი გამარჯვებებით აღფრთოვანებულნი, ახალი შრომითი აღტყინებით, ახალი წარმატებებით ხვდებიან ღირსშესანიშნავ თარიღს—5 დეკემბერს.

ამასწინათ ჩვენ მოწმენი ვიყავით ხალხთა ურყევი სტალინური მეგობრობის ბრწყინვალე დემონსტრაციისა. საქართველოს ესტუმრნენ უკრაინის და სომხეთის კოლმეურნეთა დელეგაციები, რომლებიც გაეცნენ მახარაძის რაიონის კოლმეურნეობათა მიღწევებს და სოციალისტური შეჯიბრების ახალი ხელშეკრულება დასდეს მათთან. ეს ხელშეკრულება მიმართულია საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისაკენ, უხვი მოსავლისათვის შემდგომი ბრძოლისაკენ.

დღეს ჩვენ ხალხთა სტალინური მეგობრობის ახალი ძლიერი ფაქტი გვაქვს. საქართველოს და უკრაინის კოლმეურნეთა წამოწყებას გამოეხმაურნენ ორი მოძმე რესპუბლიკის მაღაროელები. „კომუნისტის" 2 და 3 დეკემბრის ნომრებში ჩვენ გამოვაქვეყნეთ დონბასის მაღაროელთა მიმართვა ტყიბულის და ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტების ყველა სტახანოველის, მუშებისა და მუშაქალების, ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკებისა და მოსამსახურეებისადმი. ეს მიმართვა აღნიშნავს დონბასის ორჯონიკიძის ქვანახშირის ტრესტისა და ვოროშილოვგრადის ოლქის სერგოვსკის რაიონის კიროვის სახელობის № 22-6 და № 77 შახტის მიღწევებს ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის ბრძოლაში და სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევს ტყიბულისა და ტყვარჩელის მაღაროელებს.

„ჩვენ ვკისრულობთ ვალდებულებას გავხადოთ ჩვენი ტრესტი მოწინავედ დონბასში და თქვენც მოგიწოდებთ გამოიყვანოთ თქვენი ტრესტები ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის მოწინავე ტრესტების რიცხვში", — სწერენ ორჯონიკიძის ტრესტის მაღაროელები ტყიბულელებს.

დონბასის მაღაროელთა მოწოდება უდიდეს სტიმულს წარმოადგენს ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის საწარმოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის. დონბასის ზემოაღნიშნულმა შახტებმა დიდი გამოცდილება დააგროვეს ქვანახშირის მოპოვების გადიდებისათვის ბრძოლაში.

მათი გამოცდილების გადმოტანა გადამწყვეტ როლს ითამაშებს ტყიბულისა და ტყვარჩელის მაღაროების მუშაობის გაუმჯობესებაში. ეს რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა მოეწყოს, რადგან ტყიბულის და ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტები ჩამორჩენილი არიან. ტყიბულის მაღაროებმა მიმდინარე წლის 10 თვეში ნაცვლად 219.100 ტონისა ამოიღეს 211.752 ტონა ქვანახშირი, რაც დავალების 96,6 პროცენტს შეადგენს. შეუწყნარებლად იზრდება ქვანახშირის თვითღირებულება. ტრესტის მიხედვით რვა თვეში ამოღებულ ქვანახშირზე გადახარჯულია 806.143 მანეთი. სტალინის სახელობის მაღაროს ერთ ტონა ქვანახშირზე გადახარჯვა აქვს 11 მანეთი, რის გამო რვა თვეში გადაიხარჯა 714.417 მანეთი.

მაღაროებში ადგილი აქვს მექანიზმებისადმი დაუშვებელ გულგრილ დამოკიდებულებას, არ სრულდება სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება ციკლური მუშაობის დანერგვის შესახებ. ლენინის სახელობის მაღაროში თავი იჩინა ციკლური მუშაობისადმი სკეპტიკურმა განწყობილებამ — ციკლური მუშაობა ტყიბულის მაღაროებში ხელსაყრელი არ არისო. ეს დამპალი თეორია წარმოსდგება იქიდან, რომ ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის უნდობლობა, კონსერვატიული დამოკიდებულება სტახანოვური შრომის კოლექტიური ორგანიზაციის ახალი ფორმებისადმი. ტყიბულს ჰყავს სახელგანთქმული სტახანოველები, ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის თავდადებული მებრძოლები — ალ. დარსაძე, ი. დადუნაშვილი, ვ. ცირეკიძე, ლ. ცქიფურიშვილი, ი. ცეცხლაძე, ქ. ბეშკენაძე, მ. ღვინეფაძე, ი. და გ. ქართველიშვილები, — მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ერთეულები არიან. საჭიროა ფართოდ გავავრცელოთ სტახანოველთა გამოცდილება, გაბედულად გადავიდეთ სტახანოვური მუშაობის მასობრივ ორგანიზაციაზე.

საქართველოს და დონბასის მაღაროელთა შეჯიბრებამ ხელი უნდა შეუწყოს ამ ხარვეზის ამოვსებას. დონბასელთა წამოწყება ფართოდ უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ ავსწიოთ ტყიბულის და ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტების მუშაობა, გამოვიყვანოთ ისინი ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის მოწინავე ტრესტების რიგებში. „დაე ჩვენმა შეჯიბრებამ ხელი შეუწყოს ჩვენი ხალხების ძმური მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას. დაე იგი იყოს უშრეტი წყარო ქვანახშირის ამოღების შემდგომი გადიდებისა, საბჭოთა კავშირის ქვანახშირის ყველა მუშაკთა მუშაობის გაუმჯობესებისა".

დონბასის მაღაროელთა მოწოდების ეს ქვირფასი სიტყვები მტკიცედ უნდა დაიხსომოს ტყიბულის და ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტების ყოველმა მუშაკმა და თავისი ყოველდღიური მუშაობით გაამართლოს ისინი. ტყიბულის და ტყვარჩელის პარტიული ორგანიზაციები უნდა დაეხმარონ სამეურნეო მუშაკებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს იმაში, რომ ისინი სათავეში ჩაუდგნენ ბრძოლას სტახანოვური მოძრაობის შემდგომი გაშლისათვის, დონბასის მაღაროელთა გამოცდილების სრულად გამოყენებისათვის.

მაღაროს თვითეული მეთაურის, თვითეული პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკის მოვალეობაა სიმტკიცე და შეუპოვრობა გამოიჩინოს ამ საქმეში, არ შეუშინდეს სიძნელეებს, დაუზოგავად დაამსხვრიოს ისინი და ახალ-ახალ კოლექტივებს ჩაუნერგოს სტახანოვური მუშაობის მეთოდები.

დონბასელთა მოწოდების საპასუხოდ ტყიბულის და ტყვარჩელის მაღაროელები, ქვანახშირის ტრესტების ყველა მუშაკები უნდა გაიმსჭვალონ წადილით — რაც შეიძლება მალე გამოიყვანონ თავიანთი საწარმოები გარღვევიდან და ღირსეულად შეასრულონ მათზე დაკისრებული ამოცანები.

## დონბასელთა მომართვას საქმით უპასუხეს

**ტყიბული,** 3 დეკემბერი (ტელეფონით საკ. კორ.) ორჯონიკიძის ქვანახშირის ტრესტის მაღაროებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმამ ტყიბულელ მაღაროელთა შორის შრომითი ენთუზიაზმის ახალი ტალღა გამოიწვია. ტყიბულელებმა დონბასელთა მომართვას საქმით უპასუხეს. ასე, მაგალითად, 1 დეკემბერს ამოიღეს 1030 ტონა ქვანახშირი — დავალების 102,1 პროცენტი, 2 დეკემბერს კი დავალება 105,4 პროცენტით შეასრულეს.

განსაკუთრებული წარმატებით მუშაობს ლენინის სახელობის მაღარო, სადაც გაზეთ „კომუნისტის" გარდამავალი დროშა ფრიალებს.

## დაიწყო მოსახლეობის ნაადრევი აღწერა

(სამხრეთ-ოსეთი, ტელეგრაფით საკ. კორესპონდენტისაგან)

პირველ დეკემბერს დაიწყო მოსახლეობის ნაადრევი აღწერა ჯავის რაიონის ყველა სასოფლო საბჭოში, ლენინგორის რაიონის ჯამურის, კორჩოხის, მონასტრის, ჭურთის, კორინთის და საპერშეთის სასოფლო საბჭოებში, სტალინირის რაიონის მელოთის და ბიყრის სასოფლო საბჭოებში.

თვითეული რაიონი დაყოფილია 3 სააღწერო უბნად. აღმწერლებად მუშაობენ გამოცდილი და მომზადებული ამხანაგები: ქ. კუხრაევი, პ. ზეგენავა, გ. ჯიოევი, ა. სანაკოევი და სხვ.

ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის ხელმძღვანელობისა და დახმარების გასაწევად ჯავის რაიონის ქემულთის, როკისა და ტიდელეთის სასოფლო საბჭოებში იმყოფებიან პარტრაიკომის მდივანი ამხ. გ. კოლუმბეგოვი, რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ზ. ძაგოევი და აღრიცხვის რაიინსპექტორი ამხ. ფ. გაგიევი; სტალინირის რაიონის მელოთისა და ბიყრის სასოფლო საბჭოში — რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. რ. ბერუაშვილი, პარტრაიკომის მდივანი ამხ. რ. ლაზარაშვილი და აღრიცხვის რაიინსპექტორი ამხ. კ. ბეკოევი; ლენინგორის რაიონის ჯამურის, კორჩოხის და მონასტრის სასოფლო საბჭოებში — პარტრაიკომის მდივანი ამხ. მ. ჯაბიევი და აღრიცხვის რაიინსპექტორი.

აღწერის დაწყებამდე სამივე რაიონში ცალცალკე ჩატარდა რაიაქტივის კრებები, რომლებზეც დამუშავდა აღწერისათვის მზადყოფნის საკითხები. აღმწერლებს თავის დროზე გაეწიათ ინსტრუქტაჟი.



რესპუბლიკური ესპანეთის არმიის მეკავშირე-მებრძოლი საველე სამუშაოზე.

„სოიუზფოტო"

## წარმატებებით ხვდებიან სტალინური კონსტიტუციის დღეს

### ვადაზე ადრე და გადაჭარბებით

თბილისის ფეხსაცმლის მესამე ფაბრიკას წელს გეგმით უნდა გამოეშვა 72 ათასი წყვილი ფეხსაცმელი. ფაბრიკის კოლექტივმა სტახანოვური მუშაობის გაშლის შედეგად ეს გეგმა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით 23 ნოემბრისათვის შეასრულა. 72 ათასი წყვილის მაგიერ ფაბრიკამ გამოუშვა 75.954 წყვილი ფეხსაცმელი, რაც გეგმის 105 პროცენტს შეადგენს.

სტალინური კონსტიტუციის ორი წლის თავთან დაკავშირებით ფაბრიკის კოლექტივმა აიღო ახალი ვალდებულება, რათა 1938 წლის ბოლომდე დამატებით გამოუშვას 10 ათასი წყვილი მაღალი ხარისხის ფეხსაცმელი. ამ მიზნით ფაბრიკაში ამჟამად ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება როგორც საამქროებს შორის, ისე ინდივიდუალურად.

გეგმების შესრულებაში წინ მიდის ქალთა ფეხსაცმლის საამქროს ბრიგადა (ბრიგადირი—ამხ. პ. ბალდასაროვი), რომელიც გეგმებს სისტემატურად და გადაჭარბებით ასრულებს. საუკეთესო მაჩვენებლებს იძლევა სტახანოველი ამხ. ა. კარაპეტიანი, რომელიც გეგმას 220 პროცენტით ასრულებს. კომკავშირელი სტახანოველები მარო სირაძე და სერედა ზამკოჩიანი გეგმებს 150 და მეტი პროცენტით ასრულებენ.

### დიდი მიღწევებით ეგებებიან

**ბორჩალო,** (საქდესი). ბორჩალოს რაიონის კოლმეურნეობანი დიდი მიღწევებით ეგებებიან სტალინური კონსტიტუციის დღეს. გაზრდილი პოლიტიკური აქტივობის შედეგად კოლმეურნეობებმა მიმდინარე წელს ფართოდ გააჩაღეს ბრძოლა სახელმწიფო დავალებათა შესრულებისათვის როგორც მარცვლეულის, ისე ტექნიკური კულტურების ხაზით.

მიმდინარე წელს აღებულია 11.626.106 ზონარმეტრი თამბაქო, გეგმით კი გათვალისწინებული იყო 10.317.000 ზონარმეტრი. ხარისხით 1938 წლის თამბაქო გაცილებით უკეთესია შარშანდელზე. კარგი მოვლის შედეგად, შარშანდელთან შედარებით, მოიმატა პირველი ხარისხის თამბაქოს გამოსავალმა.

ვადამდე შეასრულეს კოლმეურნეობებმა 15.600 ჰექტარი მარცვლეულის აღება. ბევრ კოლმეურნეობაში თვითეულ ჰექტარზე 20 ცენტნერი მარცვალი მოიყვანეს. ბამბა სახელმწიფოსათვის გეგმით უნდა ჩაებარებინათ 6.230 ცენტნერი, ხოლო ფაქტიურად ჩააბარეს 7050 ცენტნერი.

დიდი წარმატებებით ეგებება სტალინური კონსტიტუციის წლისთავს რაიონის ერთერთი უდიდესი კოლმეურნეობა „ლენინაკანდი" (1-ოფ. შაუმიანი). კოლმეურნეობა „ლენინაკანდის" მეცხოველეობის ფერმას 1800 სული საქონელი ჰყავს. კოლმეურნეობაში არ არის არცერთი უძროხო კოლმეურნე. კოლმეურნეობის საქონელი სავსებით უზრუნველყოფილია საზამთრო ტევადი და კონცენტრირებული საკვებით.

კოლმეურნეობაში აგებულია 4 თავლა, ბოსელი 800 სული ძროხის, ბოსელი 80 სული ხარისთვის და საღორე 400 ღორისთვის.

მიმდინარე წელს თვითეული კოლმეურნე შრომადღეზე მიიღებს 3-4 ჯერ მეტ მარცვლეულს, ღვინოს, ფულსა და სხვა პროდუქტებს, ვიდრე შარშან მიიღო.

საკოლმეურნეო მინდვრების სტახანოველთა რიცხვი 1937 წელს 85 უდრიდა, 1938 წელს კი 215 კაცს შეადგენს.

ამ წლის განმავლობაში 80 კოლმეურნემ აიშენა ქვის ნათელი სახლი ყოველივე მოწყობილობით. კოლმეურნეობამ ააგო 2 საბავშვო ბაღი 80 ბავშვისათვის, 2 საბავშვო ბაგა 65 ბავშვისათვის.

კოლმეურნეობის სამეურნეო-პოლიტიკურმა განმტკიცებამ, შეძლებულობის ზრდამ (როგორც კოლმეურნეობისა მთლიანად, ისე თვითეული კოლმეურნისამ) უდიდესი ავტორიტეტი მოუპოვა კოლმეურნეობას. ამ უკანასკნელ თვეებში კოლმეურნეობაში 325 ერთპიროვნული მეურნეობა შევიდა.

იზრდებიან საბჭოთა ინტელიგენციის კადრები. 1937 წელს კოლმეურნეებიდან გამოსული მასწავლებელი 1 იყო, ამჟამად 9 არის. კოლმეურნეებიდან სპეციალური განათლება მიღებული აქვს 4 ექიმს, 2 ინჟინერს, 2 აგრონომსა და 2 ვეტექიმს. ათწლედი წელს დაამთავრა 25 კაცმა, 1937 წელს კი—14 კაცმა. გახსნილია მოზრდილთა საშუალო სკოლა და 3 არასრული საშუალო სკოლა.

ასეთია ბორჩალოს რაიონის საკოლმეურნეო სოფლის წარმატებანი. სტალინური კონსტიტუციის დროშით რაიონის კოლმეურნეები კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მიაღწევენ თავიანთი მუშაობის ყოველ დარგში.

### ახალი მაჩვენებლებით ხვდებიან

**ნატანები,** 3 დეკემბერი (საქდესი). მახარაძის რაიონის ნატანების ლავრენტი ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფის წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. პირველი დეკემბრისათვის კოლმეურნეობამ მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 5.967.480 ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი. გეგმა შესრულებულია 107,6 პროცენტით.

კოლმეურნეობის კოლექტივმა იკისრა ვალდებულება, რათა სტალინური კონსტიტუციის ორი წლისთავთან დაკავშირებით გეგმის გადამეტებით ჩააბაროს სახელმწიფოს ერთი მილიონი ციტრუსოვანთა ნაყოფი.

### ნაკისრი ვალდებულება შესრულებულია

„საქსასწორრემონტტრესტის" მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა ნაკისრი ვალდებულება — წლიური გეგმის 100 პროცენტით შესრულება სტალინური კონსტიტუციის წლისთავზე— ღირსეულად შეასრულა. გეგმის მიხედვით ტრესტს უნდა გამოეშვა 1.200.000 მანეთის პროდუქცია, ფაქტიურად კი პირველი დეკემბრისათვის გამოშვებულია 1.270.000 მანეთის პროდუქცია, რაც წლიური გეგმის 106 პროც. აღწევს.

ფართო მოხმარების საგნებიდან ტრესტმა 100 საოჯახო ლუმელის ნაცვლად დაამზადა 200 ლუმელი, გადაჭარბებით შეასრულა აგრეთვე თუჯის ლუმელების დამზადების გეგმაც.

ტრესტს ჰყავს საუკეთესო სტახანოველები, რომლებიც გეგმას 200—300 პროც. ასრულებენ. ასეთები არიან: ფ. ლისი (გორის განყ.), მ. მოშიაშვილი (თბილისი), ო. მარქარიანი (აჭარის განყ.), გ. პონომარენკო (აფხაზეთი) და სხვები.

ტრესტის კოლექტივმა ფართო მოხმარების საგნების გამოშვების დარგში ახალი ვალდებულება იკისრა. (საქდესი).

## ლენინის ორდენის გადაცემა ყაზახეთის სახალხო მომღერალ ჯამბულისათვის

მოსკოვი გულითად შეხვდა ყაზახეთის სახალხო მომღერალს ამხ. ჯამბულ ჯაბაევს. დედაქალაქის მთელი საზოგადოებრიობა ღირსეულად ზეიმობს ყაზახეთის ხალხის გამოჩენილი წარმომადგენლის ჯამბულის ჩამოსვლას, რომელიც თავისი აღფრთოვანებულ სიმღერებით საბჭოთა ქვეყნის ბედნიერ ცხოვრებას ადიდებს.

2 დეკემბერს დილით კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა ჯამბულს გადასცა ლენინის ორდენი, რომლითაც უხუცესი აკინი დაჯილდოებულია თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის 75 წლისთავთან დაკავშირებით.

ამხ. მ. ი. კალინინმა გულმხურვალედ მიულოცა აკინს და უსურვა მას ჯანმრთელობა და შემდგომი ნაყოფიერი მოღვაწეობა საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ. სიხარულით აღელვებული ჯამბული მხურვალე მადლობას უცხადებდა პარტიასა და მთავრობას მაღალი ჯილდოსათვის.

## ჯამბული მოსკოვში

კრემლში მისვლამ, მიხეილ ივანეს-ძე კალინინთან შეხვედრამ და ლენინის ორდენის მიღებამ აალელვეს ჯამბული. 93 წლის სახალხო მომღერალი უდიდეს სიხარულს განიცდის. მთელი დღის განმავლობაში არ შეჩერებულა ჯამბულის დომბრა. აკინი მღეროდა და უკრავდა.

— გული საგულედან ამოვარდნას ლამობს, — ამბობს ჯამბული. —მინდა გადავეხვიო მშობლიურ მოსკოვს, მინდა დაუღალავად ვთხზავდე სიმღერებს საბჭოთა ხალხის შესახებ. და მთელი დღის განმავლობაში ჯამბულთან მისალოცავად სასტუმროში მიდიოდნენ მოსკოვის მოწაფეთა, მეცნიერთა, მწერალთა დელეგაციები, ყაზახეთის ორგანიზაციების წარმომადგენლები.

3 დეკემბერს ჯამბული დაათვალიერებს ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის მეტროპოლიტენს და ავტომანქანით გაისეირნებს მოსკოვში.

## საყოველთაო სახალხო დღესასწაულის წინ

მთელს საბჭოთა კავშირში მშრომელები გაცხოველებით ემზადებიან, რათა ღირსეულად შეხვდნენ საყოველთაო სახალხო დღესასწაულს — სტალინური კონსტიტუციის მიღების მეორე წლისთავს.

მოსკოვის ქარხანა „სერპ ი მოლოტის" ძველი—მარტენის საამქრომ ნოემბრის გეგმა 101,5 პროცენტით შეასრულა.

ამტკიცებდნენ რა მიღწეულ წარმატებებს, მეფოლადეები დეკემბრის პირველი დღეებიდანვე ამზადებენ სტალინური კონსტიტუციის მეორე წლისთავისათვის ახალ საწარმოო საჩუქრებს. 1 დეკემბერს საამქრომ გამოადნო 611,3 ტონა ლითონი მაშინ, როცა დავალებული ჰქონდა 468 ტონა ლითონის გამოდნობა.

ლენინგრადის ქარხანა „კრასნი ინსტრუმენტალშჩიკის" კოლექტივმა 1 დეკემბერს ვადამდე შეასრულა წლიური პროგრამა. ქარხანამ გამოუშვა 29 მილიონი მანეთის საზომი ხელსაწყო.

ლენინგრადში, ივანოვოში, კურსკში, დონის-როსტოვში, კრასნოდარში, სიმფეროპოლში, სტალინგრადში, ენგელსში, სემიპალატინსკში და გროზნოში სარეწაო კოოპერაციის 400-ზე მეტი არტელი სტალინური კონსტიტუციის დღესასწაულს ხვდება თავისი წლიური პროგრამის ვადამდე შესრულებით.

## ფაშიზმის განადგურება აუცილებელია და იგი უნდა განადგურდეს

### ამხ. ხოზე დიასის მოხსენება

**ბარსელონა,** 2 დეკემბერი (საქდესი). ბარსელონაში 29 ნოემბერს ესპანეთ-ამერიკის ასოციაციამ მოაწყო ესპანეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ხოზე დიასის გამოსვლა მოხსენებით თემაზე: „რას ასწავლის ესპანეთი ევროპასა და ამერიკას?" მოხსენება გადაცემულ იქნა რადიოთი.

ხოზე დიასმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ფაშიზმი, რომელიც თავს დაესხა ესპანეთს, ემუქრება აგრეთვე ამერიკის ხალხებს, როგორც ეს ცხადჰყო ბრაზილიასა და მექსიკაში მომხდარმა ფაშისტურ ამბოხებათა უნაყოფო ცდებმა. ესპანეთს, — აღნიშნა ხოზე დიასმა, — შეუძლია მიუთითოს ყველა ხალხს თავის გამოცდილებაზე ფაშიზმთან ბრძოლაში. ეს გამოცდილება იმაში მდგომარეობს, რომ, ჯერ ერთი, ფაშიზმის ალაგმვა შეიძლება მხოლოთ ბრძოლის ყველა საშუალებით, ისე რომ სულ მცირედი რამეც კი არ უნდა დავუთმოთ მას, და, მეორეც იმაში, რომ ხალხი ერთიანი უნდა იყოს. ესპანეთის გამოცდილება გვასწავლის, — აღნიშნა შემდეგ ხოზე დიასმა, — რომ ხალხი, რომელმაც საკუთარი დაცვა თავის ხელთ აიღო, არ შეიძლება დამარცხებულ იქნას. ესპანელმა ხალხმა, მიუხედავად მთელი თავისი ტანჯვისა, ორი წლის განმავლობაში ნაკლები დაჰკარგა, ვიდრე ჩეხოსლოვაკიამ ერთი დღის განმავლობაში. მარტო ეს ფაქტი ამხელს ფაშიზმისადმი დათმობათა კაპიტულანტურ პოლიტიკას. ჩეხოსლოვაკიის დანაკლისი ყველა დარგში აურაცხელია, მაშინ როდესაც ესპანეთის ტერიტორიის დანაკლისი მხოლოდ დროებითი მოვლენაა, წინააღმდეგობის გაწევის ორგანიზაციამ კი ესპანეთს მისცა ხალხის ერთიანობა, მისი განთავისუფლება ფეოდალური ექსპლოატაციისაგან, არმია, სამხედრო მრეწველობა და საერთაშორისო პრესტიჟი.

უნდა გავიგოთ, რომ ფაშიზმი ილაშქრებს არა მარტო მუშათა კლასის წინააღმდეგ, არა მარტო ყველაზე მოწინავე ორგანიზაციების წინააღმდეგ, არამედ გლეხების, წვრილი ბურჟუაზიის, ინტელიგენციის წინააღმდეგაც და ნაციონალური ინტერესების წინააღმდეგ. გენერალ ფრანკოს გამარჯვება ესპანელებს მონობას მოუტანდა და ავტომატურად საფრანგეთს ჩამოაქვეითებდა მეორეხარისხოვან სახელმწიფოს მდგომარეობამდე.

ხოზე დიასი მიუთითებს ესპანეთში უახლოესი დროისათვის ინტერვენციის ახალი გაძლიერების შესაძლებლობაზე და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რესპუბლიკური ესპანეთის ერთიანობა შეიძლება უფრო მეტად განმტკიცდეს და კიდევაც უნდა განმტკიცდეს. მძიმე დღეები მოგველის. და საჭიროა ყველა რესურსის გამოყენება. წინააღმდეგობის გაწევიდან შეტევაზე უნდა გადავიდეთ, ამისათვის კი საჭიროა კიდევ უფრო მეტი ერთიანობა. მუშათა კლასი დაინტერესებულია ამ ერთიანობით, ურომლისოდაც გამარჯვება შეუძლებელია.

ყველამ, ვინც კი ხოზე დიასის მოხსენებას დაესწრო, მქუხარე ოვაცია გაუმართა მას.

## ესპანეთის რესპუბლიკის ელჩის გაწვევა ბრიუსელიდან

**ბარსელონა,** 2 დეკემბერი (საქდესი). ესპანეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალვარეს დელ ვაიომ პრესაში გამოაქვეყნა ცნობა რესპუბლიკის მთავრობის მიერ ბრიუსელიდან თავისი ელჩის გაწვევის შესახებ. ელჩი გუშინ გამოემგზავრა ბრიუსელიდან. ალვარეს დელ ვაიოს ცნობაში აღნიშნულია: ელჩის გაწვევა იმით აიხსნება, რომ ბელგიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ იგი თავის წარმომადგენელს ჰგზავნის ბურგოსში (ესპანელ მეამბოხეთა ეგრეთწოდებული „მთავრობის" ადგილსამყოფელი).

როგორც ესპანის სააგენტო იუწყება, ბრიუსელიდან ესპანეთის ელჩის გაწვევამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ბელგიაში. ბრიუსელის გაზეთებმა ამ ამბავს სპეციალური სტატიები მიუძღვნეს.

**ბრიუსელი,** 2 დეკემბერი (საქდესი). ჰავასის სააგენტოს ცნობით, ბელგიის მთავრობამ, მოიმიზეზა რა ბელგიიდან ესპანეთის ელჩის წასვლა, ბარსელონიდან გაიწვია თავისი საქმეთა რწმუნებული.

## საომარი მოქმედება ჩინეთში

(საქდესის ჩუნცინელ, შანხაელ და ლონდონელ კორესპონდენტთა ცნობების მიხედვით)

### სამხრეთ ჩინეთში

სამხრეთ ჩინეთში იაპონელთა სარდლობა ცდილობს, რაც უნდა დაუჯდეს, დაიბრუნოს კანტონის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით დაკარგული მნიშვნელოვანი პუნქტები. იაპონელებმა კანტონში მნიშვნელოვანი მაშველი ჯარები გადაიყვანეს და ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში დაიწყეს შეტევა ცუნხუას მიმართულებით. ცუნხუას სამხრეთ-დასავლეთით 29 ნოემბერს მთელი დღე-ღამის განმავლობაში შეუპოვარი ბრძოლა სწარმოებდა ტაიპინჩენის მახლობლად. ბრძოლამ რამდენჯერმე ხელჩართული შეტაკების ხასიათი მიიღო. განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს ჩინელმა ყუმბარმტყორცნებმა, რომლებმაც იაპონელებს დაუშინეს ხელყუმბარები და არაერთხელ მიაყენეს დიდი ზარალი. ხელყუმბარებით დანგრეულია იაპონელთა 2 ტანკი. ჩინელებმა ხელთ იგდეს 10 ტყვიამფრქვევი და რამდენიმე ათეული შაშხანა და იაპონელებს ტაიპინჩენისაკენ დაახევინეს. 30 ნოემბერს იაპონელებმა კვლავ დაიწყეს წინწაწევა ტაიპინჩენიდან, ამასთან არტილერიის ცეცხლით წინასწარ მთლად დაანგრიეს ჩინელთა სიმაგრენი. საღამოს ჩინეთის ჯარი იძულებული იყო დაეწყო უკანდახევა, მაგრამ ღამით მაშველი ჯარები მოვიდნენ და ფრონტის ხაზი გამოსწორებულ იქნა.

კანტონის აღმოსავლეთით იაპონიის ჯარის ერთეულებმა შესძლეს კვლავ დაეკავებინათ ბოლო და ვეიჯოუ.

კანტონის დასავლეთით სამშუის რაიონში იაპონელები რამდენჯერმე უშედეგოდ შეეცადნენ შეტევაზე გადასვლას.

### ცენტრალურ ჩინეთში

უხანის სამხრეთ-დასავლეთით გრძელდება ბრძოლა იოჯოუს რაიონში. იაპონელები მხოლოდ დიდძალი არტილერიის მეოხებით ინარჩუნებენ იოჯოუს.

იოჯოუს სამხრეთ-აღმოსავლეთით ბრძოლა სწარმოებს ტუნჩენის მახლობლად. ხანკოუს ჩრდილოეთ-დასავლეთით, ჩინელთა მიერ ინჩენის დაპყრობის შემდეგ, ბრძოლა გაიშალა ქალაქის აღმოსავლეთით.

### ჩრდილოეთ ჩინეთში

შანსის პროვინციის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ჩავიდა დაახლოებით 10 ათასი ჩინელი მებრძოლი, რომლებმაც გადალახეს მდინარე ხუანხე და დაიწყეს შეტევა იაპონელთა გარნიზონებზე.

O

30 ნოემბერს იაპონელთა თვითმფრინავებმა რამდენიმე თავდასხმა მოახდინეს ხუნანის პროვინციის მთელ რიგ ქალაქებზე. ყუმბარები დაუშინეს ჩანშას, ბაოცინსა და ჩუჯოუს. ყუმბარებს ჰყრიდნენ ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ ნაწილებში.

იმავე დღეს იაპონელთა 50 თვითმფრინავი მონაწილეობას იღებდა გუანდუნისა და გუანსის პროვინციათა მთელ რიგ პუნქტებზე თავდასხმაში. გააფთრებული ბომბარდირება განიცადა ქალაქმა გუილინმა, სადაც მოკლული და დაჭრილია მრავალი მშვიდობიანი მცხოვრები.

## ჯაშუში ლინდბერგი მუდმივ საცხოვრებლად გადადის გერმანიაში

**ნიუ-იორკი,** 2 დეკემბერი (საქდესი). „ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობით, ლინდბერგს განზრახვა აქვს მუდმივ საცხოვრებლად გადავიდეს გერმანიაში. ამ ბოლო დროს იგი ცხოვრობდა საფრანგეთში.



იაპონელთა ინტერვენცია ჩინეთში. ჩინეთის სამხრეთ რაიონების ლტოლვილნი ქალაქ გარეთ ეძებენ თავშესაფარს.

„სოიუზფოტო"

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მანდარინის დამზადება და გადაზიდვა

მიმდინარე წელს საქართველოში უნდა დამზადდეს მანდარინი 240 მილიონი ცალი, ფორთოხალი — 4 მილიონი და ლიმონი — 2,5 მილიონი ცალი. მანდარინის დამზადების დამთავრების ვადა 15 დეკემბერია, ლიმონისა და ფორთოხლისა კი — 15 იანვარი.

სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის საქართველოს რწმუნებულის სამმართველოს ცნობებით, 1 დეკემბრისათვის საქართველოში დამზადებული იყო მანდარინი 133.449.000 ცალი, — გეგმის 55,6 პროცენტი. ამ რაოდენობიდან საქკონსერვხილტრესტის ხაზით დამზადდა 75.244.300 ცალი ანუ გეგმის 65,4 პროცენტი, ცეკავშირის ხაზით — 37.614.300 ცალი, —41,1 პროცენტი, აჭარის ასსრ მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობის ტრესტის ხაზით — 12.722.000 ცალი ანუ გეგმის 49,3 პროცენტი, ხოლო სულ აჭარის ასს რესპუბლიკაში დამზადდა 104.051,200 ცალი მანდარინი — გეგმის 52,4 პროცენტი, აფხაზეთში 10.060.000 ცალი, — 61 პროცენტი.

1 დეკემბრისათვის მანდარინის დამზადების გეგმა უკვე 104,7 პროცენტით ჰქონდათ შესრულებული „საქ. ჩაის" საბჭოთა მეურნეობებს, რომლებმაც მოკრიფეს 7.225.900 ცალი ნაყოფი.

ცალკეული რაიონებიდან ყველაზე წინ არის მახარაძის რაიონი, სადაც დამზადებულია 14.539.000 ცალი მანდარინი — გეგმის 85,5 პროცენტი. ლანჩხუთში გეგმა (4.550.000 ცალი) შესრულებულია 77,8 პროცენტით, სამტრედიაში — 23,4-ით, ცხაკაიას რაიონში — 21,8-ით, ხობში — 1,7-ით, ხოლო გეგეჭკორისა და ჩოხატაურის რაიონებში, სადაც 245.000 ცალი მანდარინი უნდა დამზადდეს, გეგმა 1 დეკემბრისათვის ერთი პროცენტითაც არ იყო შესრულებული.

არსებული წესების მიხედვით ნაყოფი მოკრეფის დღესვე უნდა იქნას დახარისხებული და შეფუთული, ხოლო მეორე დღეს აუცილებლად უნდა გადაიზიდოს, ვაიგზავნოს დანიშნულებისამებრ.

ამ სავალდებულო წესებს მთელი რიგი რაიონები და დამამზადებელი ორგანიზაციები ხშირად არ ასრულებენ. 1 დეკემბრისათვის ხობის რაიონში მოკრეფილი, მაგრამ გაუგზავნელი იყო 6.000 ცალი მანდარინი, ზუგდიდში — 1.076.000, სამტრედიაში — 11.700, აბაშაში — 12.300 და წალენჯიხაში — 22.000 ცალი (ხობში, აბაშასა და წალენჯიხაში დამზადებას აწარმოებს ცეკავშირი, ზუგდიდსა და სამტრედიაში კი — საქკონსერვხილტრესტი). სულ საქართველოში 1 დეკემბრისათვის ცეკავშირმა მიღებული მანდარინის მხოლოდ 58 პროცენტი გადაზიდა საქკონსერვხილტრესტმა 47 პროცენტი. ამავე რიცხვისათვის დასახელებულ ორგანიზაციებს გაუზიდავი ჰქონდათ 77 მილიონამდე ცალი მანდარინი.

მანდარინის დამზადების დაწყებიდან სსრ კავშირის სხვადასხვა სამრეწველო ცენტრებში გაგზავნილია 71.796.800 ცალი მანდარინი ანუ მოკრეფილი ნაყოფის 53,8 პროცენტი.

დამამზადებელი ორგანიზაციები არასაკმაოდ მომზადებული შეხვდნენ მანდარინის გაძლიერებულ კრეფას. მუშა-ხელის ნაკლებობის გამო ისინი ვერ ასწრებენ დამამზადებელ პუნქტებში მთელი შემოსული მანდარინის დახარისხებას, შეფუთვასა და დროულად გაგზავნას, რაც ნაყოფის დაზიანებას და ხარისხის შემცირებას იწვევს.

# რატომ ჭიანურდება მანდარინის დახარისხება და გადაგზავნა

(აჭარა, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

1 დეკემბრისათვის აჭარის ასს რესპუბლიკას მანდარინის კრეფის გეგმა 52,4 პროცენტით ჰქონდა შესრულებული. ამ რიცხვისათვის აჭარაში მოკრეფილი იყო 104.051.200 ცალი მანდარინი, ხოლო მიმღებ პუნქტებს დანიშნულებისამებრ გადაგზავნილი ჰქონდათ დაახლოებით 3.800 ტონა.

მანდარინის დამამზადებელი ორგანიზაციების მიმღები პუნქტების უმრავლესობამ წელს ენერგიულად მოჰკიდა ხელი მანდარინის მიღების, გადამუშავებისა და დროულად გადაგზავნის საქმეს. შემოწმებამ ცხადჰყო, რომ ბევრგან ფართოდ არის გამოყენებული სპეციალისტებისა და მოწინავე მუშების გამოცდილება მანდარინის ხარისხობრივი მაჩვენებლებით დახარისხების საქმეში. აჭარკოოპკავშირის ხუცუბნის სოფლსაბჭოს (ქობულეთის რაიონი) პავილიონს მრავლად მოეპოვება მანდარინის დამხარისხებელი სტახანოველი მუშები, რომლებიც დღიურ ნორმებს ერთი-სამად და ერთი-ოთხად ასრულებენ. მათ შორის აღსანიშნავი არიან: გ. ტაბატაძე, მ. ტილგინა, ნ. შელბინა, ლ. ლინსკაია, ე. ზოლოტიევა, ელ. ვაქოვა და სხვ.

მაგრამ ყველგან ასე როდია. ზოგან მიმღები პუნქტები განიცდიან მანდარინის მიღებისა და გადამუშავების დარგში მუშა-ხელისა და მანდარინის დასაბინავებელი ადგი- [illegible]

[illegible] ხუცუბნის პავილიონს, რომელსაც წელს 16.800 ათასი ცალი მანდარინი უნდა მიიღოს და გადაამუშაოს, 28 ნოემბრისათვის 49,5 პროცენტით ჰქონდა გეგმა შესრულებული. აღნიშნულ რიცხვისათვის პავილიონს გადაგზავნილი ჰქონდა 52 ვაგონი მანდარინი. პავილიონს 60 ტონა წუნდებული მანდარინი აქვს მიღებული, რაც აჭარკოოპკავშირს ბათუმში უნდა გადაეზიდა, მაგრამ რატომღაც აჭარკოოპკავშირს დღემდე არ უფიქრნია ამ წუნდებული მანდარინისაგან პავილიონის განტვირთვა, ეს კი ხელს უშლის ნორმალურ მუშაობას.

აჭარკოოპკავშირის სოფ. ქობულეთის პავილიონს 28 ნოემბრისათვის მიღებული ჰქონდა 8.277.500 ცალი მანდარინი ანუ გეგმის 44 პროცენტი. აქაც მოუწესრიგებელია მანდარინის თავის დროზე გადაგზავნა. აღნიშნული რიცხვისათვის პავილიონიდან გაგზავნილი იყო 6.075.000 ცალი მანდარინი.

აჭარციტრუსხილდამზადების კანტორის პუნქტმა მუხაესტატეში 13 ნოემბრიდან დაიწყო მანდარინის მიღება. პუნქტი ადგილზე მანდარინის გადამუშავებას არ აწარმოებს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქობულეთის პავილიონმა მუხაესტატეს პუნქტიდან, რომელსაც მანდარინის მიღების გეგმა 29 ნოემბრისათვის 62 პროცენტით ჰქონდა შესრულებული, ვერ უზრუნველჰყო მანდარინის გადაზიდვა. 21 ნოემბრიდან სისტემატურად რჩება პუნქტში 60-70 ტონამდე მიღებული მანდარინი. პუნქტში დაუხარისხებელი მანდარინის ხანგრძლივად გაჩერება კი საგრძნობ გავლენას ახდენს მის ხარისხზე.

დროა მანდარინის დამამზადებელმა ორგანიზაციებმა ბოლო მოუღონ არსებულ ნაკლოვანებებს.

ქ. დობორჯგინიძე.



ორთაბალის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი ქალი ტოიზ აბდულ საინ ქზი.

ფოტო კვირიკაშვილისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

# საკოლმეურნეო კადრების მომზადებას ცუდად ხელმძღვანელობენ

ამხანაგმა ლ. ბერიამ თავის მოხსენებაში საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მე-5 პლენუმზე 1936 წლის 25 აგვისტოს, მკაცრად გააკრიტიკა რა მიწსახკომისა და კერძოდ მისი კადრების მომზადების სამმართველოს მუშაობა, დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი საკოლმეურნეო კადრების მომზადებაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოსწორების უზრუნველსაყოფად.

სამიწათმოქმედო ორგანოებში მოკალათებული ხალხის მტრები, ტროცკისტ-ბუხარინელი არამზადები განზრახ შლიდნენ კადრების მომზადებისა და გადამზადების გეგმებს, აფერხებდნენ მომზადებული კადრების გეგმიანად გამოყენებას.

ამხანაგ ლ. ბერიას მითითებათა საფუძველზე დიდი მუშაობა ჩატარდა მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციისათვის. წინანდელთან შედარებით გაუმჯობესდა სკოლების მუშაობა, ერთგვარი წესრიგი დამყარდა მომზადებული კადრების გამოყენებაში, დაწინაურდნენ ახალი კადრები.

მაგრამ ამავე დროს ფაქტები მოწმობენ, რომ საკოლმეურნეო კადრების მომზადებისა და გადამზადების საქმეს ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს. საქმიწსახკომის კადრების მომზადების სამმართველოს, ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების და სამიწათმოქმედო ორგანოების მხრივ ჯერ კიდევ არა სჩანს სისტემატური და თანმიმდევრობითი ბრძოლა მავნებლობის შედეგების სწრაფი და მთლიანი ლიკვიდაციისათვის. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ კადრების მომზადების გეგმები, განსაკუთრებით საკოლმეურნეო და სატრაქტორო სკოლების ხაზით, ხშირად იფუშება.

ამჟამად საქართველოში არის სულ 18 საკოლმეურნეო სარაიონთაშორისო, 5 სატრაქტორო, 12 საკოლმეურნეო კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელი სკოლა, 18 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. მიწსახკომის სისტემაში შედის 2 უმაღლესი სასწავლებელი და 2 მუშფაკი. ამ სკოლების ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს კადრების მომზადების სამმართველოს, მაგრამ ეს უკანასკნელი ამ მხრივ სუსტად მუშაობს. სამმართველო და კერძოდ მისი უფროსი ამხ. ნ. კობახიძე სათანადოთ ვერ ხელმძღვანელობს კადრების მომზადების საქმეს. ეს დაადასტურა „კომუნისტის" რედაქციის სოფლკორებისაგან მიღებული სიგნალების საფუძველზე ახლახან ჩატარებულმა შემოწმებამ.

## საკოლმეურნეო სკოლებში დამყარებული არ არის ბოლშევიკური წესრიგი

საქართველოს საკოლმეურნეო სკოლებმა წელს ვერ შეასრულეს შარშან მიღებული კონტინგენტის გამოშვების გეგმა, მაგრამ ეს მიწსახკომის კადრების მომზადების სამმართველომ შემდგომ მუშაობაში ვერ გაითვალისწინა. მაგალითად, მემინდვრეობის ბრიგადირი 540 კაცის ნაცვლად 371 გამოუშვეს. მესაქონლეობის ზოოტექნიკოსები 120 კაცის ნაცვლად — 63. ვერ შესრულდა აგრეთვე ფერმის გამგეების, აგროტექნიკოსებისა და ვეტფერშლების მომზადების გეგმები. კერძოდ, დიდი ჯიხაიშის (დირექტორი პ. მიქაძე) სკოლამ წელს, ნაცვლად 120 კაცისა, მხოლოდ 83 ვეტფერშალი, მოანგარიშე და მემინდვრეობის ბრიგადირი გამოუშვა. გორის საკოლმეურნეო სკოლამ კადრების მომზადების გეგმა ნახევაროდ შეასრულა. ჩამორჩა აგრეთვე დუშეთის, ლაგოდეხის, ყვარლის, ზესტაფონის, მცხეთისა და აბაშის სკოლები.

მახარაძის სარაიონთაშორისო საკოლმეურნეო სკოლამ 30 ვეტფერშლის ნაცვლად 16 მოამზადა, მემინდვრეობის ბრიგადირები 30-ის ნაცვლად — 13. ზოოტექნიკოსთა ერთწლიან კურსებზე აქ 30 კაცის ნაცვლად 21 მიიღეს და აქედან მხოლოდ 16 შეინარჩუნეს. მსმენელთა შორის ადგილი აქვს უდისციპლინობას, ხშირ უმიზეზო გაცდენებს. მაგალითად, ოქტომბრის პირველ 27 დღეს ზოოტექნიკოსთა ჯგუფში 214 აკადემიური საათი გაცდა.

მთელ რიგ სკოლებში მსმენელებს არა აქვთ შექმნილი მეცადინეობის ნორმალური პირობები. ლაგოდეხის საკოლმეურნეო სკოლის საერთო საცხოვრებელი მოუწყობელია. სასადილოში არ არის საჭირო ინვენტარი. გურჯაანის საკოლმეურნეო სკოლას ესაჭიროება იატაკის დაგება, გადატიხვრა, გათბობის მოწყობა. შესაძენია საერთო საცხოვრებლისათვის ლოგინები.

სატრაქტორო ბრიგადირების მოსამზადებელ განყოფილებაზე 41 კაცის ნაცვლად 19 მიიღეს და აქედან მხოლოდ 10 კაცი არის შენარჩუნებული. ავტომექანიკოსების მოსამზადებელ ერთწლიან ჯგუფში 25 კაციდან ამჟამად მხოლოდ 9 კაცი მეცადინეობს.

## პროგრამები და სახელმძღვანელოები მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნიათ

სკოლების მუშაობის ყველაზე „ვიწრო ადგილს" სასწავლო პროგრამების და სახელმძღვანელოების უქონლობა წარმოადგენს. მიწსახკომის კადრების მომზადების სამმართველოში სპეციალურად არავინ მუშაობს მეთოდურ საკითხებზე. მეთოდბიუროს არსებობაზე ლაპარაკი ხომ სულ ზედმეტია. აქ მხოლოდ იმით კმაყოფილდებიან, რომ მექანიკურად გადაბეჭდავენ და დაგვიანებით გზავნიან ადგილებზე საკავშირო მიწსახკომისაგან მიღებულ პროგრამებს. ზოგი მათგანი არ არის შეფარდებული ადგილობრივ პირობებთან, მაგრამ აქ ამას ანგარიშს არ უწევენ.

ფაქტები: მახარაძის საკოლმეურნეო სკოლას მოანგარიშეთა ჯგუფისათვის ჯერაც არ მიუღია სამეურნეო გამოანგარიშების პროგრამა, ზოოტექნიკოსთა ჯგუფისათვის — ზოოტექნიკის და აგროტექნიკის საფუძვლები, სას. - სამ. არტელის სტალინური წესდება და შრომის ორგანიზაცია მეცხოველეობის ფერმებში. ეს სკოლა ამზადებს ზოოტექნიკოსებს. აქ კი ზოოტექნიკის პროგრამა მიიღეს არა ზოოტექნიკოსების კურსისათვის, არამედ მეცხოველეობის საკოლმეურნეო ფერმებისა და ბრიგადირების ჯგუფისათვის, მაშინ როდესაც ასეთი ჯგუფები აქ არც კი არსებობს. მეცხოველეობის პროგრამა მიღებულია 90 აკადემიური საათის მოცულობით, მაშინ როდესაც სასწავლო გეგმით ამ საგანს 45 საათი აქვს დათმობილი. ბრიგადირების ჯგუფისათვის, რომელიც ივლისში გამოუშვეს, აქ მიღებულ იქნა აგროტექნიკის ისეთი პროგრამა, რომელშიაც ჩაისა და ციტრუსების შესახებ სიტყვაც არ იყო ნათქვამი. სამაგიეროდ პროგრამაში ფართოდ არის წარმოდგენილი ბამბა, შაქრის ჭარხალი და სხვა ისეთი კულტურები, რომელთა მოყვანას გურიაში სრულიად არ მისდევენ.

23 სექტემბერს მახარაძის საკოლმეურნეო სკოლამ საქ. მიწსახკომის კადრების მომზადების სამმართველოდან მიიღო ოპერატიული ანგარიშგების პროგრამა, რომელშიაც სახელმძღვანელოდ მითითებულია აღრიცხვის მთელი რიგი ისეთი ფორმები, რომლებიც მთავრობის დადგენილებით კარგა ხანია ამოღებულია ხმარებიდან.

წულუკიძის სატრაქტორო სკოლას ავტომექანიკოსთა ჯგუფისათვის ჯერაც არა აქვს მიღებული პროგრამები ავტომობილის რემონტის და სხვათა შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯგუფმა მეცადინეობა 1 იანვარს დაიწყო და მის დამთავრებამდე ერთი თვე-ღა დარჩა. სკოლა შინაურულად, კუსტარულად შედგენილი პროგრამებით სარგებლობს, რაც ყოვლად შეუწყნარებელია.

ლაგოდეხის საკოლმეურნეო სკოლაში აგროტექნიკოსთა ახლანდელ ნაკადზე პროგრამები ორი თვის დაგვიანებით მიიღეს, ხოლო სასწავლო გეგმა — 6 თვის დაგვიანებით. დიდი დაგვიანებით მიიღეს სასწავლო პროგრამები აგრეთვე მოანგარიშეთა და ბრიგადირთა პროფილისათვის.

ბაკურციხის სას.-სამ. ტექნიკუმს 1937-38 სასწავლო წლის ზოგიერთი სასწავლო პროგრამები მაშინ გადაუგზავნეს, როცა სასწავლო წელი თითქმის გასული იყო. რუსული ენისა და პოლიტეკონომიის პროგრამები კი ტექნიკუმს ახლაც არ გააჩნია.

გურჯაანის ავტოსატრაქტორო და საკოლმეურნეო სკოლებში მიღებული პროგრამები ცუდად არის ნათარგმნი. აგრეთვე თარგმანში გამოტოვებულია ადგილები, რაც ხშირად გაუგებრობასაც იწვევს.

ცაგერის სას.-სამ. ტექნიკუმს სასწავლო პროგრამები დღემდე არ დაუმუშავებია მეთოდბიუროზე და ისინი არ განუხილავს პედაგოგიურ საბჭოს. ტექნიკუმის სასწავლო ნაწილის გამგე ამხ. ყუბუსიძე, ნაცვლად იმისა, რომ მიიღოს ზომები ამ ნაკლის გამოსასწორებლად, მთელ დროს კინკლაობას ანდომებს.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი სხვა სკოლებსა და ტექნიკუმებსაც ახასიათებს.

აღსანიშნავია, რომ მიწსახკომის კადრების მომზადების სამმართველოსთან არ არსებობს მეთოდბიურო. საკავშირო მიწსახკომიდან მიღებულ სასწავლო პროგრამებს აქ მექანიკურად ამრავლებენ, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში პროგრამების შედგენას და გადამუშავებას შემთხვევით პირებს ანდობენ, რომელთა ნამუშევარს არავინ უწევს კონტროლს. პროგრამებში ძალიან ხშირად სრულიად არ არის მითითებული სახელმძღვანელოები, ხოლო რაც არის მითითებული, ბევრ შემთხვევაში სკოლებს არც ის გააჩნიათ. მაგალითად, წულუკიძის სატრაქტორო სკოლაში თითქმის არცერთ მსმენელს არა აქვს ფიზიკისა და ქიმიის სახელმძღვანელოები, ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო კი 145 კაციდან მხოლოდ 41 კაცს აქვს. მთელ სკოლაში მოძრაობის წესებზე მხოლოდ 1 სახელმძღვანელოა, მაშინ როდესაც მარტო საშოფერო ჯგუფზე 66 კაცი სწავლობს.

როგორც ამ სკოლაში, ისე სხვა სკოლებშიაც სრულიად არ არის სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის, მემცენარეობის, დეკორატიული მებაღეობის, სელექცია-მეთესლეობის, სასოფლო - სამეურნეო იარაღ-მანქანების, სატრაქტორო პარკების ორგანიზაციის, ავტო-მანქანების, ტრაქტორების, რემონტის საქმის და მთელი რიგი სხვა სახელმძღვანელოები. მიწსახკომი არ ზრუნავს ამ სახელმძღვანელოების გამოცემაზე. სახელმძღვანელოების უქონლობა კი დიდ გავლენას ახდენს სწავლების ხარისხზე.

## სატრაქტორო სკოლებში გეგმები იშლება

საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ყოველდღიურად იზრდება მოთხოვნილება კვალიფიციურ კადრებზე: ტრაქტორისტებზე, კომბაინერებზე, შოფერებზე, მექანიკოსებზე, მაგრამ გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს საქართველოს მიწსახკომი. ამას ისიც ადასტურებს, რომ სისტემატურად იშლება ხსენებული კადრების მომზადების გეგმები.

სატრაქტორო სკოლებმა 1937-38 სასწავლო წელს, ნაცვლად 1026 ტრაქტორისტისა, 918 ტრაქტორისტი გამოუშვეს. სატრაქტორო ბრიგადირები 180 კაცის ნაცვლად 14, კომბაინერები — 201-ის ნაცვლად 169, შოფერები — 545-ის ნაცვლად 448. მთელი რიგი მტს-ები ამ მხრივ დანაშაულებრივ უყურადღებობას იჩენენ. მაგალითად, წნორის მტს-მა გაზაფხულზე გურჯაანის სკოლაში 30 კაცის ნაცვლად მხოლოდ 13 გაგზავნა, აქედან 4 უკან დაბრუნდა იმის გამო, რომ მათ კუთვნილი ხელფასი არ მისცეს. ამავე მტს-ს სატრაქტორო სკოლაში სექტემბრის ნაკადზე არცერთი კაცი არ გაუგზავნია (უნდა გაეგზავნა 20). თბილისის მტს-მა, 35 კაცის ნაცვლად, გაგზავნა 8. ბორჩალომ 35-დან მხოლოდ 1. ასევე დაუდევრობას იჩენენ ულიანოვკის, ყარაიის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის მტს-ები.

წულუკიძის სატრაქტორო სკოლაში უკანასკნელ ნაკადზე გეგმით 226 ტრაქტორისტი, შოფერი, სატრაქტორო ბრიგადირი და ავტომექანიკოსი უნდა მომზადდეს, ნამდვილად კი მხოლოდ 145 კაცი მეცადინეობს. მიწსახკომის კადრების მომზადების სამმართველო და მისი უფროსი ამხ. კობახიძე გულდამშვიდებით უყურებს ამ მდგომარეობას და არ ღებულობს საჭირო გადამჭრელ ზომებს არსებულ არანორმალობის გამოსასწორებლად.

მიწსახკომისა და მისი კადრების მომზადების სამმართველოს ცუდ ხელმძღვანელობას სატრაქტორო სკოლებისადმი ისიც მოწმობს, რომ აქ უკანასკნელ ნაკადზე გუდაუთის, სოხუმის, გალისა და ოჩამჩირის რაიონებიდან სატრაქტორო კურსებზე 15 ისეთი მსმენელი მიიღეს, რომლებმაც, გარდა აფხაზურისა, სხვა ენა არ იცოდნენ, მაშინ როდესაც სკოლაში სწავლება მხოლოდ ქართულ ენაზეა. ამიტომ ერთი თვის შემდეგ მსმენელები უკან დააბრუნეს.

სკოლაში ცუდი კულტსაყოფაცხოვრებო პირობების გამო ადგილი აქვს მსმენელთა ხშირ დენადობას. მაგალითად, ამ სკოლაში

## სკოლები ვერ უზრუნველყვეს კვალიფიციური პედაგოგებით

პედაგოგი სწავლების მთავარი რგოლია, მაგრამ ამას მიწსახკომის კადრების მომზადების სამმართველო ვერ ითვალისწინებს. საკოლმეურნეო და სატრაქტორო სკოლები უზრუნველყოფილი არ არიან კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით. მიწსახკომის კადრების მომზადების სამმართველოს არ ჩაუტარებია მასწავლებელთა ატესტაცია. ადგილებზე გაგზავნილ მასწავლებლებს წინასწარ არ ამოწმებენ მათი პედაგოგიური უნარის მიხედვით.

გეგმით მიმდინარე წლის სექტემბერში ახალქალაქში უნდა გახსნილიყო ვეტფერშალთა მოსამზადებელი ერთწლიანი კურსები 30 კაცისათვის. მიწსახკომის კადრების მომზადების სამმართველომ დროზე არ მიიღო ზომები ადგილობრივი ენის მცოდნე ვეტექიმ-პედაგოგის შესარჩევად. ამიტომ კურსები სრულიად არ გახსნილა. მახარაძის, სტალინირის, დუშეთის, ამბროლაურის, გორის, ზუგდიდის, აბაშისა და გურჯაანის საკოლმეურნეო სკოლებს ახლაც არა ჰყავთ თავისუფალი მასწავლებლები საანგარიშო დარგში, მაშინ როდესაც ამ საგანს თვითეულ სკოლაში კვირაში 20-30 საათი აქვს დათმობილი.

პედაგოგიური კადრებით უზრუნველყოფის საქმეში ხშირად კურიოზებსაც აქვს ადგილი. მაგალითად, ლაგოდეხის საკოლმეურნეო სკოლაში კადრების მომზადების სამმართველომ პედაგოგიურ სამუშაოზე გაგზავნა ამხ. შ. ხაბეიშვილი, მაშინ როდესაც ეს სკოლა კადრებით უზრუნველყოფილი იყო და მეცადინეობაც ნორმალურად მიმდინარეობდა. ამხ. ხაბეიშვილისათვის „პირობების შექმნის" მიზნით მიწსახკომმა ამ სკოლიდან 4 გამოცდილი პედაგოგი გაანთავისუფლა. ამხ. ხაბეიშვილს სრულიად არა აქვს პედაგოგიური სტაჟი. მას არც პედაგოგიური განათლება მიუღია. მიუხედავად ამისა, იგი მიწსახკომის ბრძანებით სასწავლო ნაწილის გამგედ დაინიშნა, ასწავლის ქართულს, არითმეტიკას, პოლიტცოდნას და სხვა საგნებს.

ასეთივე კურიოზს ჰქონდა ადგილი ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმშიაც. ხულიგნური და სხვა არაპედაგოგიური საქციელისათვის შარშან სამუშაოდან მოხსნილ იქნა ამ სკოლის მასწავლებელი გრ. ჭაბუკიანი. სასამართლოში სხვადასხვა კომბინაციებით გრ. ჭაბუკიანმა შესძლო „თავის გამართლება". მიწსახკომის კადრების მომზადების სამმართველოს უფროსი ამხ. კობახიძე არც კი დაინტერესებულა სასამართლოს ამ არასწორი დადგენილების გასაჩივრებით. სასამართლო პროცესზე კობახიძემ სამმართველოს წარმომადგენელიც არ გაგზავნა და მექანიკურად შეასრულა აშკარად უკანონო გადაწყვეტილება, — ჭაბუკიანს მისცა 8.662 მანეთი და აღადგინა თავის ძველ სამუშაოზე.

მიწსახკომი და კერძოდ მისი კადრების მომზადების სამმართველო არასაკმაოდ ზრუნავს იმისათვის, რომ სკოლებისათვის შექმნას პედაგოგთა მტკიცე კადრი.

ბაკურციხის სას.-სამ. ტექნიკუმს სრულიად არა ჰყავს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და გენეტიკა-სელექციის მასწავლებელი. როგორც ამ სკოლას, ისე ზოგიერთ სხვებსაც მიწსახკომის მიერ არ ეძლევა მეთოდური მითითებანი, სწავლების ხარისხის ასამაღლებლად ნაკლებად არის გამოყენებული ნაცადი მეთოდი — სოციალისტური შეჯიბრება, პედაგოგთა დაწინაურება და წახალისება შემთხვევითი ხასიათს ატარებს, არ იჩენენ პედაგოგებისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებას. ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე.

## ასეთი ხელმძღვანელობით მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდება

ზემოაღნიშნული ფაქტები მოწმობენ, რომ საქართველოს მიწსახკომი, მისი კადრების მომზადების სამმართველო, ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ საკოლმეურნეო კადრების მომზადებას.

მიწსახკომის კადრების მომზადების სამმართველო და კერძოდ მისი უფროსი ამხ. კობახიძე თავს ვერართმევს კადრების მომზადების საქმეს. სამმართველოში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ფუნქციონალობა, იგი არ არის განმტკიცებული მომზადებული, კვალიფიციური მუშაკებით.

საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელებმა უშუალოდ უნდა მოჰკიდონ ხელი საკოლმეურნეო კადრების მომზადების, გადამზადებისა და გამოყენების საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებას. მიწსახკომის კადრების მომზადების სამმართველო უნდა განვამტკიცოთ შემოწმებული და უნარიანი მუშაკებით.

თ. კუნჭულია
ტ. ჩხაიძე
ტრ. თოდრაძე

# საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში

28 ნოემბერს ვ. მ. ბაქრაძის თავმჯდომარეობით შესდგა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომა.

სახკომსაბჭომ განიხილა საკითხი პოლიგრაფიული მრეწველობის კადრების მომზადების შესახებ და აღნიშნა ამ მუშაობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. სახკომსაბჭომ დაავალა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს მოაწყოს 1939 წელს საფაბრიკო-საქარხნო სკოლა პოლიგრაფიული მრეწველობის კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად.

პოლიგრაფიული მრეწველობისათვის კადრების მოსამზადებელი საფაბრიკო-საქარხნო სკოლის კონტინგენტი განსაზღვრულია 180 კაცის რაოდენობით, მათ რიცხვში: ლინოტიპისტი — 100 კაცი, მბეჭდავი — 50 და ამკინძავი — 30 კაცი.

გარდა ამისა, სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს მოაწყოს ექვსთვიანი კურსები წარმოებას მოუწყვეტლად სწავლებისათვის 1938 წლის 15 დეკემბრიდან, კურსების კონტინგენტი განსაზღვრა 120 კაცის რაოდენობით, შემდეგი განაწილებით: ასოთამწყობი - ლინოტიპისტი — 70, მბეჭდავი — 25 და ამკინძავი — 25 კაცი.

O

განიხილა რა საკითხი მინდვრის თაგვთან ბრძოლის შესახებ, სახკომსაბჭომ აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მხრივ არასაკმაო ყურადღებისა და ზოგიერთი რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების, რაიონულ სამიწათმოქმედო განყოფილებათა გამგეების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების მხრივ უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად, მინდვრის თაგვთან ბრძოლა სრულიად არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს.

განსაკუთრებით ცუდად არის გაშლილი მუშაობა წითელ-წყაროს, გურჯაანის, თბილისის, ბორჩალოს, წალკის და ბაშკიჩეთის რაიონებში. არასაკმაოდ სწარმოებს ბრძოლა მინდვრის თაგვთან აგრეთვე სიღნაღის რაიონში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკს და აღმოსავლეთ საქართველოს რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს დაუყოვნებლივ მოისმინონ პრეზიდიუმის სხდომაზე რაიონულ სამიწათმოქმედო განყოფილებათა გამგეების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების მოხსენებები.

სახკომსაბჭომ დაავალა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს უზრუნველჰყოს რაიონები მომწამლავი მასალის საჭირო რაოდენობით, მიავლინოს რაიონების დასახმარებლად შესაფერი სპეციალისტები.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ გააფრთხილა რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეები, რაიონულ მიწათმოქმედებათა განყოფილებების გამგეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები მინდვრის თაგვთან ბრძოლის დროული ჩატარების განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ და წინადადება მისცა მიაღწიონ მარცვლეულის ნათესის მავნებლების სრულ ლიკვიდაციას.

O

სახკომსაბჭომ განიხილა 1939 წლისათვის კარტოფილის საზაფხულო თესვის გეგმა და დაავალა საქართველოს სსრ მიწსახკომს 1939 წელს, ფართო სამეურნეო ცდის სახით, ჩაატაროს კარტოფილის საზაფხულო თესვა 100 ჰექტარ ფართობზე.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ წინადადება მისცა აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს ერთი დეკადის ვადაში დაიყვანონ კოლმეურნეობებამდე კარტოფილის საზაფხულო თესვის 1939 წლის გეგმა, შეარჩიონ კოლმეურნეობები, რომლებსაც აქვთ ყველა შესაძლებლობა საზაფხულო თესვის გეგმის აუცილებელი შესრულებისათვის, თვითეულ რაიონში საჭიროა გამოიყოს ერთი აგრონომი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება კარტოფილის საზაფხულო თესვისათვის და ნათესის შემდგომი მოვლისათვის. 1939 წლის იანვარში მოწყობილ უნდა იქნას 10-დღიანი კურსები იმ ბრიგადირებისა და ჯგუფის ხელმძღვანელების გადასამზადებლად, რომლებიც კარტოფილის საზაფხულო თესვაზე მუშაობენ.

ამავე სხდომაზე სახკომსაბჭომ განიხილა საქართველოს სსრ მიწსახკომის მიერ წარმოდგენილი ღონისძიებანი კეთილშობილი დაფნის კულტურის განვითარებისათვის.

სახკომსაბჭომ დაამტკიცა საქართველოს სსრ მიწსახკომის მიერ წარმოდგენილი გეგმა იმ 500 ათასი მანეთის გამოყენებისა, რომელიც გამოყოფილია სსრ კავშირის მიწსახკომის მიერ საქართველოს სსრ-ში კეთილშობილი დაფნის კულტურის განვითარების ღონისძიებათათვის.

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა საქართველოს სსრ მიწსახკომს მოაწყოს სანერგე მეურნეობა ხობის, ზუგდიდის, სამტრედიის, ქუთაისის რაიონებში, კოლხიდმშენთან და ლიმონ-მანდარინის ტრესტის საბჭოთა მეურნეობებში, 1938/39 წლების სეზონში ჩაატაროს შეწამვლა დაფნის დაავადებული საკოლმეურნეო პლანტაციებისა, აგრეთვე ყველა ერთეული ნარგავებისა და პლანტაციებისა საკარმიდამო ნაკვეთებზე, რომლებიც წარმოადგენენ ავადმყოფობისა და მავნებლების გავრცელების კერებს.

O

სახკომსაბჭომ მოისმინა ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ჯიბლაძის მოხსენება ცეკავშირის სისტემაში IV კვარტალში საქონელბრუნვის გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. სახკომსაბჭომ აღნიშნა, რომ მიუხედავად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ მიღებული მთელი რიგი გადაწყვეტილებებისა, გეგმის შესრულება ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ცეკავშირის პრეზიდიუმმა არ მიიღო საკმაო ზომები ყველაზე უფრო ჩამორჩენილ რაიკავშირებში მდგომარეობის გამოსასწორებლად. 20 ნოემბრისათვის IV კვარტალის საცალო საქონელბრუნვის გეგმა ცეკავშირის მიერ შესრულებულია 51 პროცენტით. აქამდის არ არის შესრულებული მთიან რაიონებში ზამთრის პერიოდისათვის საქონლის ვადაზე ადრე შეტანის გეგმა.

O

სახკომსაბჭომ დაავალა მრეწველობის ბაზებს 10 დეკემბრისათვის უზრუნველჰყონ ცეკავშირის სისტემისათვის IV კვარტალის ფონდის ჩაბარება არანაკლებ 77 პროცენტის რაოდენობით.

სახკომსაბჭომ დაავალა ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და ცეკავშირს გააძლიერონ საქონლის შეტანა სოფელში, განსაკუთრებით ციტრუსოვანთა რაიონებში.

„სარეწაო საბჭოს" წინადადება მიეცა უზრუნველჰყოს ცეკავშირის სისტემისათვის სამრეწველო კოოპერაციის პროდუქციის სრული ჩაბარება საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ IV კვარტალისათვის დამტკიცებული გეგმის ზუსტად შეფარდებით, მესამე კვარტალის გეგმის მიხედვით ცეკავშირისათვის დაკლებული პროდუქციის ჩაბარება ჩაატაროს 10 დეკემბრამდე.

სახკომსაბჭომ მოისმინა ინფორმაცია სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა საქართველოს სსრ-ში 1938 წლის 10 თვის განმავლობაში ტყავის ნედლეულის დამზადების მიმდინარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ მთელ რიგ რაიონებში დამზადება მეტად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

ტყავის ნედლეულის დამზადების წლიური გეგმის შესრულების უზრუნველყოფისა და ამ ნედლეულით მრეწველობის უზრუნველყოფისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ დაავალა აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, სამხრეთ - ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკს და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს მოისმინონ დამამზადებელი ორგანიზაციების მოხსენებები ტყავის ნედლეულის დამზადების გეგმათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ და გაატარონ ცხოვრებაში კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ წლიური გეგმების აუცილებლად შესრულებას.

O

განიხილა რა საკითხი სკოლების პასპორტიზაციის ჩატარების შესახებ, სახკომსაბჭომ ნება დართო საქართველოს სსრ განსახკომს ჩაატაროს სკოლების პასპორტიზაცია, დაიწყოს ეს მუშაობა ა. წ. 1 დეკემბრიდან იმ ანგარიშით, რომ დაამთავროს 1939 წლის 1 იანვრისათვის.

სახკომსაბჭომ დაავალა აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ - ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკს, ყველა საქალაქო საბჭოებსა და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს უშუალოდ ადევნონ თვალყური სკოლების პასპორტიზაციის საქმეს და უზრუნველჰყონ ამ მუშაობის ჩატარება სათანადო დახმარებითა და ხელმძღვანელობით.

# პარტიული ცხოვრება

## სიღნაღის რაიონის პარტაქტივის კრება

ამ დღეებში ჩატარდა სიღნაღის რაიონის პარტაქტივის კრება. პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 ნოემბრის დადგენილებაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მდივანმა ამხ. ზესო ყურაშვილმა.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 11 კაცმა. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ბოლშევიკური კრიტიკითა და თვითკრიტიკით ამხილეს პარტიული პროპაგანდის საქმეში არსებული ნაკლოვანებები და წინადადებები შეიტანეს მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

აქტივის კრებამ ერთხმად მოიწონა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება და კონკრეტული ღონისძიებანი დასახა პარტიული პროპაგანდის დაყენებისათვის. (საქინფ.)

## პარტიული კურსების მსმენელთა გამოშვება

3 დეკემბერს მოხდა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული ორთვიანი პარტიული კურსების მსმენელთა გამოშვება.

პარტიული კურსების მუშაობის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა კურსების დირექტორმა ამხ. ა. ბოყაძემ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული ორთვიანი კურსები დაამთავრა საქ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტების, საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების 75 ინსტრუქტორმა.

მსმენელთა უმრავლესობამ პარტიული კურსები წარმატებით დაამთავრა.

სიტყვებით გამოსული კურსდამთავრებული ფრიადოსნები ამხ. მ. ბერძენაძე (ზესტაფონის პარტრაიკომი), ლ. ბაზაევი (თბილისის კიროვის პარტრაიკომი) და შ. კუხალაშვილი (წულუკიძის პარტრაიკომი) აღნიშნავდნენ, რომ პარტიულ კურსებზე მიღებულ თეორიულ ცოდნას მთლიანად გამოიყენებენ პრაქტიკულ მუშაობაში.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების განყოფილების გამგე ამხ ა. თოფურიძე, რომელმაც ხაზი გაუსვა პარტიული კურსების დირექციის მუშაობაში არსებულ მთელ რიგ ნაკლოვანებებს. ამხ. ა. თოფურიძემ მოუწოდა კურსდამთავრებულ ამხანაგებს ყოველდღიურად იმუშაონ თავის თავზე საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლისათვის და აქტიურად დაეხმარონ ადგილობრივ პირველად პარტორგანიზაციებს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების ბოლშევიკურად განხორციელებაში.

## მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობა მაღაროს ინტელიგენციას

ორი წლის წინათ ტყიბულის ქვანახშირის სტალინის სახელობის მაღაროს ინტელიგენცია სულ ექვსიოდე კაცისაგან შესდგებოდა.

უკანასკნელ ხანებში ჩვენი მაღაროს ინტელიგენცია თვალსაჩინოდ გაიზარდა. ამჟამად სტალინის სახელობის მაღაროს ინტელიგენცია თავის რიგებში ითვლის 12 ინჟინერს, 3 მასწავლებელს, 1 ექიმს, 3 ექიმის თანაშემწეს, კლუბის გამგეს, ფოსტის უფროსს, ტექნიკოსებს და სხვ. მაღაროს ინტელიგენცია ისწრაფვის შეიძინოს პოლიტიკური გამობრძმედა, რათა პრაქტიკული მუშაობა, ტექნიკა უნარიანად შეახამოს პოლიტიკასთან. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციამ თავის რიგებში მიიღო 7 ინჟინერი, 3 ტექნიკოსი, 1 მასწავლებელი — სულ 11 ინტელიგენტი. ამჟამად პარტიაში მიღების შესახებ კიდევ რამდენიმე ინჟინრის, მასწავლებლისა და ტექნიკოსის განცხადება გვაქვს მომზადებული პარტკომის სხდომაზე განსახილველად. მაღაროს პარტიული კომიტეტი ენერგიულად მუშაობს პარტიაში მიღების საქმის გაუმჯობესებისათვის, იბრძვის, რათა კიდევ უფრო გაძლიეროს პარტიაში მიღება მიწისქვეშ მომუშავეთა და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ხარჯზე.

წელს ჩვენს მაღაროში, ისე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა წარმოებებში, დიდი წარმატებით ხდება სტახანოველთა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა, პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა გაბედული დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოებზე.

ამხ. პაატა ნონიკაშვილი 1922 წლიდან მუშაობს მაღაროში. ის პირველად მნგრეველი იყო, სტახანოვური მოძრაობის დაწყებისთანავე პირველი სტახანოველი გახდა. შემდეგ ენერგიული მუშაობისა და უნარიანობის გამო დაწინაურებულ იქნა შახტის მთავარი ინჟინრის მოადგილის პოსტზე. ასევე ითქმის ამხ. არ. ბრეგაძეზე. გუშინდელი სტახანოველი ბრეგაძე დღეს უბნის უფროსია. სტახანოველი მნგრეველი ა. კუბლაშვილი შახტის უფროსად მუშაობს, ხოლო ამხ. ბეშკენაძე ცვლას მეთაურობს. და ასე — ბევრნი არიან ხელმძღვანელ სამეურნეო და პარტიულ სამუშაოზე, კომკავშირულ და პროფკავშირულ სამუშაოზე. ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგრამ ეს არ კმარა. ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ჩვენი პარტიული ორგანიზაცია მაღაროს ინტელიგენციასთან მისი იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად.

ჩვენთან მაღაროში, ისე როგორც სხვა საწარმოებში, პოლიტიკური სწავლების მთავარ და ერთადერთ ფორმად ითვლებოდნენ წრეები, რომლებიც მრავალი მსმენელის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდნენ.

სტალინის სახელობის მაღაროს ბევრი ინჟინერ-ტექნიკოსი ამას გულახდილად აღიარებს. ინჟინერი კობახიძე (პარტიის წევრობის კანდიდატი) და ინჟინერი მაღლაკელიძე ადრევე მოითხოვდნენ პარტგანათლების წრიდან განთავისუფლებას. „შემიძლია დამოუკიდებლად ვიმუშაო, ინდივიდუალურად შევისწავლო პარტიის ისტორია. შემიქმენით ამის პირობები, ნუ მაბანდებთ წრეში“, — ხშირად მოგვმართავდა ინჟინერი კობახიძე. პარტიული ორგანიზაციაც გრძნობდა, რომ ამხ. კობახიძეს შეეძლო დამოუკიდებლად მუშაობა წიგნზე, მაგრამ რატომღაც სათანადო გადაწყვეტილებას ვერ იღებდა მისი წრიდან განთავისუფლების შესახებ. ვერ წარმოგვედგინა პარტიის ისტორიის შესწავლა წრის გარეშე დამოუკიდებელი მეცადინეობით.

გულახდილად უნდა ითქვას, რომ აღმოჩნდნენ ბევრი ამხანაგები, საუკეთესო ტექნიკური ძალები უმაღლესი ცოდნით, რომელთაც არ წაუკითხავთ მარქსის „კაპიტალი“, არ წაუკითხავთ ლენინისა და სტალინის ბევრი ნაშრომი, მხოლოდ ციტატებით იცნობენ მათ.

მაღაროში ზოგიერთი ინჟინერი, ტექნიკოსი და უბნის უფროსი ჯერ კიდევ ლაპარაკობს თავისი სამუშაო დღის მოუწყობლობაზე. პარტიული ორგანიზაცია ჯერჯერობით სუსტად ეხმარება მათ დროის კულტურულად გამოყენებაში. პარტკომმა ვერ მიიღო სათანადო ზომები, რათა დრო უნაყოფოდ არ გაიფლანგოს, რათა პარტიული და საზოგადოებრივი დავალებები სწორად იქნას განაწილებული ამხანაგებს შორის, რათა ისინი არ გადაიტვირთონ და მეტი საშუალება მიეცეთ თავისი პოლიტიკური და ტექნიკური ცოდნის ამაღლებისათვის.

ჩვენი მაღაროს პარტიული ორგანიზაცია, „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ დღეებში გამოქვეყნებული დადგენილების შესაბამისად, გაშლის ბოლშევიკურ მუშაობას მაღაროს ინტელიგენტთა იდეური შეიარაღებისათვის, ბოლშევიკური პარტიის გმირული ისტორიის შესწავლისათვის. მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებით კიდევ უფრო მტკიცედ წავიყვანთ წინ მაღაროს მუშაობას, მივაღწევთ ბრწყინვალე წარმატებებს ქვანახშირის ამოღების გეგმის შესრულებაში.

**შ. ლაფერაძე**

ტყიბული, სტალინის სახელობის მაღაროს პირველადი პარტიული ორგანიზაციის კომიტეტის მდივანი.




სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკა № 5, აგიტატორი ამხ. ა. გამყრელიძე ატარებს საუბარს.
ფოტო ჩერკასოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

## თ. ი. ტიუტჩევი

(დაბადების 135 წლისთავისათვის)

1836 წელს ჟურნალ „სოვრემენიკში“, რომლის გამომცემელი პუშკინი იყო, დაიბეჭდა ოცდაოთხი ლექსი სათაურით: „გერმანიიდან გამოგზავნილი ლექსები“. ლექსებს მოწერილი ჰქონდა ასოები თ. ტ.

თუმცა პუშკინმა თ. ტ.-ს ლექსები თვალსაჩინო ადგილას დაბეჭდა, ისინი შეუმჩნეველი დარჩნენ კრიტიკისათვის. მრავალი წლის შემდეგ, 1850 წელს, ნეკრასოვი, ეძებდა რა რაღაცას ძველ ჟურნალებში, წააწყდა ყველასათვის უცნობ თ. ტ-ის ლექსებს და მიუძღვნა მათ აღფრთოვანებული სტატია.

ნეკრასოვის აღფრთოვანება გაიზიარეს მისმა თანამედროვე სხვა მწერლებმაც. 1854 წელს ი. ს. ტურგენევის რედაქციით და მისი ხოტბის შემსხმელი წინასიტყვაობით ტიუტჩევის ლექსები გამოშვებულ იქნა ცალკე კრებულად. ამ დროიდან ტიუტჩევი მტკიცედ შედის რუსულ პოეზიაში, როგორც მისი ერთერთი ყველაზე შესანიშნავი წარმომადგენელი.

თ. ი. ტიუტჩევი დაიბადა 135 წლის წინათ (ახალი სტილით 5 დეკემბერს) აზნაურის ოჯახში. მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი შევიდა დიპლომატიურ სამსახურში და წავიდა საზღვარგარეთ. უცხოეთში, უმთავრესად გერმანიაში, შემდეგ იტალიაში ტიუტჩევი ცხოვრობდა 20 წელზე მეტს. იქ მას კავშირი ჰქონდა ევროპის გამოჩენილ ფილოსოფოსებთან და მწერლებთან. განსაკუთრებით დაახლოვებული იყო იგი ჰენრიხ ჰაინესთან, რომელიც მას „ერთერთ თავის საუკეთესო მეგობრად“ სთვლიდა. თავის მხრივ ტიუტჩევმა პირველმ დაიწყო ჰაინეს ლექსების თარგმნა რუსულ ენაზე.

პოეტი და მოაზროვნე ტიუტჩევი ცუდი მოხელე იყო. „რუსეთში კანცელარიაა და ყაზარმები, ყველაფერი მათრახისა და ჩინის გარშემო ტრიალებს, — ამბობდა იგი. რამდენიმე ხნის შემდეგ „მათრახი“ თვით ტიუტჩევსაც მოხვდა. უმნიშვნელო სამსახურებრივი დანაშაულით მან გამოიწვია „გვირგვინოსანი ჟანდარმის“, მეფე ნიკოლოზის უკმაყოფილება და დათხოვნილ იქნა სამსახურიდან. დაბრუნდა რა რამდენიმე წლის შემდეგ რუსეთში, ტიუტჩევი შევიდა სამსახურში ცენზურაში. მას აქაც დამოუკიდებლად ეჭირა თავი. 1873 წელს, 65 წლის წინათ, ტიუტჩევი გარდაიცვალა.

ტიუტჩევის პოეტური მემკვიდრეობა მეტად მცირეა. მას დაწერილი აქვს სულ ორასიოდე ლექსი.

ტიუტჩევი უწინარეს ყოვლისა ბუნების ღრმა პოეტია.

დახვეწილი შტრიხებით ხატავს ის გაზაფხულის გამოღვიძებას, პირველ გაუშლელ ფოთოლს:

„ნორჩი ფოთოლი მწვანედ ასულა —
დახეთ. როგორი მსუბუქი არი!
არყის ხეები შემოგარსულა
ჰაეროვანი სიმწვანის ფარით;
კვამლივით ოდნავ გამჭირვალეა..“

სურათის სიქაქლუცით და ფერადების აკვარელური სიმსუბუქით ეს აწერა შეიძლება შეედაროს მხოლოდ შემოდგომის მისსავე აწერას:



„აქვს შემოდგომის საღამოს სხვტაკს
რაღაც იდუმალ შვენების ძალა!..
კლება-სისუსტე, რომლებზეც ფეთქავს
ჭკნობის სიმორცხვის ღიმილი
მკრთალად,
რასაც გონიერ არსში ვუწოდებთ
ამაღლებელ და მაღალ კრძალვას“.

საუცხოოა ტიუტჩევის ზამთრის პეიზაჟიც.

ბუნების პოეტი ტიუტჩევი ამასთან ერთად ავტორია სატრფიალო ლექსების ციკლისა, რომელთა ბადალი არ მოიპოვება მსოფლიო ლიტერატურაში მათი მგზნებარე და სევდიანი სინაზით, ტანჯული გრძნობის ძალით, მგრძნობიარე ადამიანურობით. ამ ციკლის შექმნის მიზეზი იყო რეალური ბიოგრაფიული ფაქტი: ხანში შესულ ტიუტჩევს შეუყვარდა ახალგაზრდა ქალიშვილი ე. ა. დენისიევა. ეს „უკანასკნელი სიყვარული“ იყო ყველაზე მგზნებარე, ყველაზე ძლიერი გრძნობა, რომელიც მას როდისმე განუცდია. მაგრამ „უკანონო“ სიყვარულმა ააფორიაქა მეფის კარი და „მაღალი საზოგადოება“. განსაკუთრებით ტრაგიკული იყო ბედი პოეტის სატრფოსი, რომელმაც გაბედა თავისი გრძნობისათვის შეეწირა „მაღალ საზოგადოებაში მიღებული წესიერება“, და ამისათვის აღშფოთებით განდევნილ იქნა ამ საზოგადოებიდან.

უდანაშაულო დამნაშავე პოეტი თავის თავს გრძნობდა ჯალათად. რომელიც მძიმე, უკურნებელ ჭრილობებს აყენებდა სატრფოს.

„ო! რა დამღუპველ ტრფობას
ვეძლევით,
როცა ბრმა ვნებით ვართ ანთებული
ჩვენ ხშირად იმას უწყალოდ ვღუპავთ,
ვისი ტრფობ აც სავსეა გული!“

დენისიევა რამდენიმე წლის შემდეგ მოკვდა სწრაფმდინარი ჭლექისაგან და ტიუტჩევისთვის მისი სიკვდილი უმძიმესი დანაკლისი იყო.

რეაქციული კრიტიკა ცდილობდა გაეხადა ტიუტჩევი ეგრეთწოდებული „წმინდა ხელოვნების“ ლიტერატურული სკოლის დროშად. მაგრამ სინამდვილეში ტიუტჩევი სრულიადაც არ იყო ცხოვრების ყოველგვარი „ღელვისა“ და „ბრძოლებისაგან“ განზე მდგომი მომღერალი ბუნებისა და სიყვარულისა.

აღნიშნავდა რა ფეტის, „წმინდა ხელოვნების“ სკოლის ამ ერთერთი ყველაზე თვალსაჩინო და მებრძოლი წარმომადგენლის, პოეზიის შინაარსის სიღარიბეს, დობროლიუბოვი მკვეთრად უპირისპირებდა მას ტიუტჩევს. ტიუტჩევის ლექსებს, — სწერდა ის, — ახასიათებს „ფიცხი მგზნებარებაც, მკაცრი ენერგიაც, ღრმა ფიქრიც, რომელსაც იწვევს არა მარტო სტიქიური მოვლენები, არამედ ზნეობის საკითხები და საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესებიც“.

საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესებს შორის ტიუტჩევის ყურადღებას ყველაზე მეტად რევოლუცია იქცევდა. პოეტის თვალწინ მოხდა ევროპის სამი რევოლუცია — 1830, 1848 და 1871 წლ. რევოლუციები. დიპლომატისა და ცენზორ ტიუტჩევისათვის რევოლუცია გაუგებარი და მტრული იყო. პოეტს ეგონა, რომ მას უნდა მოჰყოლოდა მთელი წარსული კულტურის მსხვრევა.

მაგრამ თავის პოლიტიკურ შეხედულებათა რეაქციულობასთან ერთად ტიუტჩევი დიდი მხატვარი იყო.

1848 წლის რევოლუციურ მოვლენებს ტიუტჩევი გამოეხმაურა ლექსით „ზღვა და კლდე“. გრანიტის კლდედ მას გამოჰყავდა მეფის რუსეთი, მის მოიერიშე „ზღვის ტალღებად“ — ევროპის რევოლუციური სტიქიის შეტევა. ტიუტჩევი — პოლიტიკოსი სავსებით „კლდის“ მხარეზე იყო. მაგრამ, მაინც, მთელ თავის შემოქმედებითს აღფრთოვანებას, თვისდა უნებურად, აქსოვდა „აბობოქრებული ტალღების“ ამბოხებული მუსიკის გადმოცემას.

ტიუტჩევი წყევლა-კრულვას უთვლიდა რევოლუციას თავის რეაქციულ პოლიტიკურ სტატიებში, მაგრამ ლექსში „ციცერონი“, რომელიც დაწერილია საფრანგეთის 1830 წლის ბურჟუაზიულ რევოლუციასთან დაკავშირებით, მოულოდნელად ხოტბას ასხამს საყოველთაო გადატრიალებათა ეპოქის დადგომას და შთაგონებულად ამბობს:

„ნეტავი იმას, ვინც ეს ქვეყანა
საბედისწერო წუთებში ნახა...“

**პროფ. დ. ბლაგოი**

## დამთავრდა კიბოს საწინააღმდეგო კვირეული

23-დან 30 ნოემბრამდე სსრ კავშირში ტარდებოდა კიბოს საწინააღმდეგო კვირეული, რომელიც კიბოს წინააღმდეგ მებრძოლმა საერთაშორისო ლიგამ მოაწყო ცოლქმრის კიურის მიერ რადიუმის აღმოჩენის 40 წლისთავისა და რენტგენის მიერ იქს-სხივების აღმოჩენის 43 წლისთავის აღსანიშნავად.

„კვირეული“ საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის მიღწევების დათვალიერებად გადაიქცა. არ დარჩენილა არცერთი ქალაქი ან მსხვილი დაბა, სადაც „კვირეულის“ დროს არ გაემართოთ პოპულარული ლექციები კიბოთი დაავადების პროფილაქტიკისა და მისი ადრე გამოვლინების შესახებ, სადაც არ ჩატარებულიყო სამეცნიერო კონფერენციები. „კვირეულის“ დროს მკვეთრად გადიდდა დისპანსერებსა და ამბულატორიებში მისვლის შემთხვევები. მასობრივი ლექციების დროს მშრომელებმა მიიღეს წარმოდგენა საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის სტრუქტურაზე, ისინი გაეცნენ პრაქტიკული მედიცინისა და თეორიული ფიზიკის საკითხებს.

მთელ რიგ რესპუბლიკებში გაიხსნა ახალი ონკოლოგიური პუნქტები, საავადმყოფოებში კიბოთი დაავადებულთათვის გამოყოფილია საწოლები, შემოტანილია ახალი მოწყობილობა.

ყველა რესპუბლიკასა, მხარესა და ოლქში შექმნილია კიბოს საწინააღმდეგო მუდმივი კომიტეტები.

### კონსულტაცია

## ერთ ქვეყანაში კომუნიზმის აშენების შესახებ*)

როგორც ზევით დავინახეთ, ენგელსი სახელმწიფოს კვდომის შესახებ საკითხის დაყენებაში ემყარებოდა იმას, რომ საზოგადოებაში, რომელსაც ის განიხილავდა, უკვე აღარ არიან ერთმანეთისადმი მტრული, ანტაგონისტური კლასები, მაშასადამე, აღარავინ იქნება ჩასახშობი; მოისპობა საჭიროება სახელმწიფოსი, რომელიც ამ ფუნქციას ასრულებს. მაგრამ თუ ჩვენ საკითხის ამ დაყენებას გადავიტანთ საერთაშორისო ასპარეზზე, დავინახავთ, რომ მსოფლიო მეურნეობის ასპარეზზე სოციალიზმის თვით **საბოლოო** გამარჯვებამდე და კაპიტალიზმის საბოლოო დამარცხებამდე რჩებიან სოციალიზმისადმი მტრულად განწყობილი კლასები და მათი სახელმწიფოები, რომლებთანაც ბრძოლა გარდუვალია.

ამ ბრძოლის შედეგი საბოლოო ანგარიშით წინასწარ გადაწყვეტილია, განსაზღვრულია **ადამიანთა საზოგადოების ისტორიული განვითარების მთელი მსვლელობით,** საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონებით, რომლებიც აღმოჩენილია მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერული თეორიით. კაპიტალიზმი არის სისტემა, რომელიც ისტორიის მიერ დაღუპვისათვის არის განწირული. როგორც თავის დროზე ფეოდალურ წყობილებას ისტორიული გარდუვალობით ადგილი უნდა დაეთმო ახალი-კაპიტალისტური წყობილებისათვის, ისე კაპიტალისტური წყობილება იძულებული იქნება გარდუვალად დაუთმოს ადგილი მეურნეობის სოციალისტურ სისტემას.

სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის ბრძოლის შედეგი საბოლოო ანგარიშით წინასწარ გადაწყვეტილია იმით, რომ დედამიწის უზარმაზარი მოსახლეობა ებმება რევოლუციურ ბრძოლაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

აღნიშნავდა რა იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან მომავალ შეტაკებებში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების გარდუვალობას, ლენინი სტატიაში „სჯობს ნაკლები, მაგრამ უკეთესი“ სწერდა:

„... ბრძოლის შედეგი საერთოდ და მთლიანად შეიძლება გავითვალისწინოთ მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ დედამიწის მოსახლეობის გიგანტურ უმრავლესობას ბოლოს და ბოლოს ასწავლის და ბრძოლისათვის ზრდის თვით კაპიტალიზმი.

ბრძოლის შედეგი, საბოლოო ანგარიშით, დამოკიდებულია იმაზე, რომ რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სხვ. შეადგენენ მოსახლეობის გიგანტურ უმრავლესობას. და სწორედ მოსახლეობის ეს უმრავლესობა უკანასკნელი წლების განმავლობაში არაჩვეულებრივი სისწრაფით ებმება თავისი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, ისე რომ ამ აზრით არ შეიძლება დაგვებადოს არავითარი ეჭვი იმაში, როგორი იქნება მსოფლიო ბრძოლის საბოლოო გადაწყვეტა. ამ თვალსაზრისით სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება სავსებით და უეჭველად უზრუნველყოფილია“ [1]).

„უეჭველია, რომ სოციალისტური რევოლუცია ევროპაში უნდა მოვიდეს და მოვა კიდეც. ყველა ჩვენი იმედი სოციალიზმის **საბოლოო** გამარჯვებისა დაფუძნებულია ამ რწმენაზე და ამ მეცნიერულ წინასწარხედვაზე“ [2]).

დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე სოციალიზმის გამარჯვების ეპოქისა და სოციალიზმის **საბოლოო** გამარჯვებისათვის ბრძოლის პირობებში გამარჯვებული სოციალიზმის (და კომუნიზმის) ქვეყანას უნდა ჰყავდეს შეიარაღებული ძალა, არმია, რომელსაც უნარი ექნება დაიცვას იგი კაპიტალისტური გარემოცვისაგან და უზრუნველჰყოს საბოლოო გამარჯვება კაპიტალისტურ გარემოცვაზე.

20-15 წლის წინათ, როდესაც სამხედრო ტექნიკის პროგრესი ჯერ კიდევ არ იყო ასეთი ძლიერი და სწრაფი, როდესაც იარაღის ახალ სახეებს (ავიაცია, ტანკები, ქიმია და სხვ.) ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ასეთი დიდი ხვედრითი წონა, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა შესძლებდა კაპიტალისტური გარემოცვისაგან თავის დაცვას მუდმივი არმიის გარეშე.

ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის წლებში შაშხანა და ტყვიამფრქვევი მთავარი იარაღი იყო, ხოლო თვითმფრინავებს, ტანკებს, ქიმიას არა ჰქონდათ ისეთი მნიშვნელობა, რომელიც მათ მიეცათ შემდეგში. ამიტომ ნაკლები რაოდენობით იყო საჭირო ნასწავლი, კვალიფიციური კადრები, ნაკლები დრო იყო საჭირო მებრძოლებისათვის სამხედრო საქმის შესასწავლად. ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩვენს პარტიულ პროგრამაში, რომელიც გამომუშავებული და მიღებულია 1919 წელს, ნათქვამია, რომ კლასების მოსპობასთან დაკავშირებით მუდმივი წითელი არმია „გადაიქცევა საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ მილიციად“.

შეიარაღებული ხალხის შესახებ, კაპიტალისტური გარემოცვისაგან დასაცავად მუდმივი არმიის საყოველთაო-სახალხო არმიით, სოციალისტური მილიციით შეცვლის შესახებ საკითხის ასეთი დაყენება თავის დროზე თეორიულად სწორი იყო.

მაგრამ უკანასკნელი 15-10 წლის განმავლობაში მკვეთრად შეცვლილი სამხედრო ტექნიკის კონკრეტულ პირობებში, კაპიტალისტური არმიების შეიარაღების განუწყვეტელი ზრდის პირობებში საკითხის ასეთი დაყენება ამჟამად **გადასინჯვას** საჭიროებს.

იმისათვის, რომ სოციალისტური საზოგადოების დაცვის არმია მტრული კაპიტალისტური გარემოცვის არმიებზე უფრო სუსტი კი არა, არამედ უფრო ძლიერი იყოს, საჭიროა სოციალისტური, საბჭოთა სახელმწიფოს წითელი არმიის **მუდმივი** მრავალრიცხოვანი კადრები, რომლებიც სავსებით დაუფლებული იქნებიან ახალ სამხედრო ტექნიკას (ავიაციას, ტანკებს, ქიმიას, საჰაერო და ქიმიურ თავდაცვას და სხვ.), რომლებიც მუდმივად გააუმჯობესებენ თავის მომზადებას. საჭიროა სოციალისტური, საბჭოთა სახელმწიფოს **მუდმივი** წითელი არმია, რომელიც **ყოველ მომენტში** მზად იქნება გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწიოს სოციალიზმის მტრებს, ფაშისტ აგრესორებს. საჭიროა სახელდობრ მუდმივი არმია, რომელიც ყოველ მომენტში მზად იქნება გამოვიდეს სხვადასხვა ფრონტებზე, და არა სოციალისტური მილიცია, არა მთელი ხალხის შეიარაღება ომის მომენტში, როგორც ამას თავის დროზე ვფიქრობდით.

ხოლო რამდენადაც საჭიროა სოციალისტური საზოგადოების დაცვის მუდმივი არმია (რომელიც თანდათან გადაიზრდება **კომუნისტურ** საზოგადოებაში), მაშასადამე, საჭიროა **სახელმწიფოც** — კომუნიზმის უმაღლესი ფაზის დროსაც კი — მანამდე, სანამ იარსებებს კაპიტალისტური გარემოცვა.

ჩვენი ეპოქის კონკრეტულ, ისტორიულ პირობებში სახელმწიფო შეიძლება გაჰქრეს მხოლოდ მაშინ, როდესაც საჭირო არ იქნება მუდმივი არმია, საჭირო არ იქნებიან ორგანიზაციები არმიის მომარაგებისა და მომსახურებისათვის.

მაგრამ იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში სახელმწიფო რატომ უნდა დარჩეს კომუნიზმის უმაღლესი ფაზის დროსაც, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სოციალიზმის გამარჯვებასთან ერთად არსებითად იცვლებიან სოციალისტური, საბჭოთა სახელმწიფოს ფუნქციები.

პირველ პლანზე გამოდის კაპიტალისტური გარემოცვისაგან სოციალისტური (ხოლო შემდეგ კომუნისტური) საზოგადოების დაცვის ფუნქცია. ექსპლუატატორული კლასების ჩახშობის ფუნქცია მათი, როგორც კლასების, განადგურებისა და მოსპობის შემდეგ მეორე პლანზე გადადის. რჩება სოციალიზმისადმი მტრულად განწყობილი ცალკეული პირებისა და ჯგუფების ჩახშობის ამოცანა, მაგრამ ამ პირებსა და ჯგუფებს არა აქვთ რამდენადმე სერიოზული კლასობრივი ბაზა ჩვენს ქვეყანაში: ისინი პირველ რიგში წარმოადგენენ კაპიტალისტური გარემოცვის აგენტურას, მათ ჰკვებავს და მხარს უჭერს კაპიტალისტური გარემოცვა. ამიტომ საჭირო რჩებიან ორგანოები, რომლებიც აწარმოებენ ბრძოლას ამ კონტრრევოლუციურ, ჯაშუშურ, მავნებლურ ელემენტებთან. სახელოვანი საბჭოთა დაზვერვის — შინსახკომის — არსებობა საჭიროა იმ დრომდე, მანამ რჩება კაპიტალისტური გარემოცვა.

სოციალისტური სახელმწიფო ხელმძღვანელობს მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგს, წარმართავს საბჭოთა საზოგადოების მოძრაობას წინ, კომუნიზმისაკენ; სოციალისტური სახელმწიფოს სამეურნეო ფუნქციები სულ უფრო და უფრო ფართოვდება. მაგრამ კომუნიზმის გაშლილი, უმაღლესი ფაზის პირობებში, როდესაც სავსებით იქნება განხორციელებული კომუნისტური პრინციპი „თვითეულისაგან — მისი უნარის მიხედვით, თვითეულს — მისი მოთხოვნილების მიხედვით“, როდესაც საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრივ საჭირო აღარ იქნება „კონტროლი შრომის ოდენობაზე და მოხმარების ოდენობაზე“, მეურნეობისა და კულტურის ხელმძღვანელობის ფუნქციისათვის სავალდებულო არ იქნებოდა სახელმწიფოს ფორმის შენარჩუნება. მაგრამ კომუნისტური საზოგადოების დაცვის ფუნქციის თვალსაზრისით სახელმწიფო არ შეიძლება გაჰქრეს იმ დრომდე, სანამ მოსპობილი არ იქნება კაპიტალისტური გარემოცვა.

**დასკვნა.** ამგვარად, თეორიულად შეიძლება გავითვალისწინოთ, წინასწარ განვჭვრიტოთ, რომ იმდრომდე, სანამ მოსპობილი არ იქნება კაპიტალისტური გარემოცვა, **სახელმწიფო დარჩება კომუნიზმის დროსაც.** მანამ საჭირო იქნება **მუდმივი არმია,** დარჩება **სახელმწიფოც,** მთელი ხალხის, სოციალისტური და კომუნისტური საზოგადოების სახელმწიფო. ეს წარმოადგენს პირდაპირ დასკვნას იქიდან, რასაც გვასწავლის ამხანაგი სტალინი, დასკვნას ამხანაგ სტალინის მრავალგზისი მითითებებიდან ორი სისტემის — კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემის — ბრძოლის შესახებ, — კაპიტალისტური გარემოცვის საფრთხის შესახებ, იმის შესახებ. რომ აუცილებელია ყოველმხრივ განმტკიცდეს ძლიერება სოციალისტური სახელმწიფოსი, რომლის მთავარ ფუნქციას ჩვენს ქვეყანაში მტრული კაპიტალისტური კლასების ლიკვიდაციის შემდეგ წარმოადგენს ფუნქცია გარეგანი მტრებისაგან, კაპიტალისტური გარემოცვისაგან სოციალისტური საზოგადოების დაცვისა და ფუნქცია მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის ხელმძღვანელობისა. ამას გვასწავლის ამხანაგი სტალინი.

დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე სოციალიზმის გამარჯვების ეპოქის პირობებში სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციაა კაპიტალისტური გარემოცვისაგან სოციალიზმის, ხოლო შემდეგ კომუნიზმის დაცვა, კაპიტალისტურ გარემოცვაზე გამარჯვების ორგანიზაცია.

ის გარემოება, რომ კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში საჭირო აღმოჩნდება მუდმივი წითელი არმიის შენახვა და, მაშასადამე, სახელმწიფოს შენახვაც კომუნიზმის თვით უმაღლესი ფაზის დროს, არ ეწინააღმდეგება იმას, რომ საწარმოო ძალთა მძაფრი ზრდის ბაზაზე თანდათანობით განხორციელდება **კომუნიზმის ძირითადი პრინციპი** — განაწილება მოთხოვნილების მიხედვით. ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისა და მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის შედეგად, რომელიც ჩატარებულია ორი სტალინური ხუთწლედის წლებში, არის ყველაფერი აუცილებელი იმისათვის, რომ მომზადდეს **თანდათანობით გადასვლა** განაწილების სოციალისტური პრინციპიდან „თვითეულისაგან — მისი უნარის მიხედვით, თვითეულს — მისი შრომის მიხედვით“ განაწილების კომუნისტურ პრინციპზე „თვითეულისაგან — მისი უნარის მიხედვით, თვითეულს — მისი მოთხოვნილების მიხედვით“. სწორედ ამაში მდგომარეობს **ძირითადი** განსხვავება კომუნიზმის დაბალსა და უმაღლეს ფაზებს შორის.

ვუბრუნდებით რა საკითხს, რომელიც დასმული იყო ამხანაგ ვ. ზაიჩენკოს წერილში, მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ, უთუოდ, შესაძლებელია ჩვენს ქვეყანაში სრული კომუნისტური საზოგადოების აშენება და არსებობა კაპიტალისტური გარემოცვის არსებობის დროსაც.

მუდმივი წითელი არმიის შენარჩუნება, სახელმწიფოს შენარჩუნება იმ დრომდე, სანამ იარსებებს კაპიტალისტური გარემოცვა, არ ეწინააღმდეგება სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობითი გადასვლის სრულ შესაძლებლობას. ამასთან შესაძლებელია, რომ კაპიტალისტური გარემოცვა მოსპობილი იქნება უფრო ადრე, ვიდრე სავსებით განხორციელდება კომუნიზმის უმაღლესი ფაზა. მაგრამ შესაძლებელია მეორე მდგომარეობაც, როდესაც უმაღლესი ფაზა სავსებით იქნება განხორციელებული, ხოლო კაპიტალისტური გარემოცვა ჯერ კიდევ არ იქნება საბოლოოდ დამარცხებული, განადგურებული. მაშინ შენარჩუნებულ იქნება მუდმივი წითელი არმია და, მაშასადამე, სახელმწიფოც, კომუნიზმის უმაღლეს ფაზაზედაც.

ხოლო რაც შეეხება კომუნიზმის **საბოლოო გამარჯვების** საკითხს კაპიტალისტური ქვეყნების მხრივ ინტერვენციის საფრთხისაგან გარანტიის აზრით, აქ სავსებით შეიძლება შეფარდებულ იქნას ის მითითებანი და განმარტებანი, რომლებიც მოგვცა ამხანაგმა სტალინმა თავის პასუხში ამხ. ივანოვის წერილზე და რომლებიც მოცემულია საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიაში **სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების** საკითხზე.

„...კაპიტალისტური ინტერვენციის საფრთხის მოსასპობად, — ვკითხულობთ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კურსში, — აუცილებელია კაპიტალისტური გარემოცვის მოსპობა, კაპიტალისტური გარემოცვის მოსპობა კი შესაძლებელია მხოლოდ ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუციის შედეგად რამდენიმე ქვეყანაში მაინც. მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვება, რომელიც გამოიხატება მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის ლიკვიდაციასა და მეურნეობის სოციალისტური სისტემის აშენებაში, მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს **საბოლოო** გამარჯვებად, რამდენადაც უცხოეთის შეიარაღებული ინტერვენციისა და კაპიტალიზმის რესტავრაციის ცდების საფრთხე აღმოუფხვრელი რჩება. რამდენადაც სოციალიზმის ქვეყანა ჯერ კიდევ გარანტირებული არ არის ასეთი საფრთხისაგან. უცხოეთის კაპიტალისტური ინტერვენციის საფრთხე რომ მოისპოს, საჭიროა მოისპოს კაპიტალისტური გარემოცვა.

რა თქმა უნდა, საბჭოთა ხალხი და მისი წითელი არმია საბჭოთა ხელისუფლების სწორი პოლიტიკის პირობებში შესძლებენ გამანადგურებელი პასუხი გასცენ უცხოეთის ახალ კაპიტალისტურ ინტერვენციას ისევე, როგორც მათ გაანადგურეს პირველი კაპიტალისტური ინტერვენცია 1918-1920 წლებში. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ამით მოსპობილი იქნება ახალი კაპიტალისტური ინტერვენციების საფრთხე. პირველი ინტერვენციის დამარცხებამ ვერ მოსპო ახალი ინტერვენციის საფრთხე, ვინაიდან ინტერვენციის საფრთხის წყარო — კაპიტალისტური გარემოცვა — კვლავ არსებობს. ინტერვენციის საფრთხეს ვერც ახალი ინტერვენციის დამარცხება მოსპობს, თუ კაპიტალისტური გარემოცვა კიდევ იარსებებს.

აქედან გამომდინარეობს, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება სსრ კავშირის მშრომელთა სისხლხორცეულ ინტერესს წარმოადგენს“ [1]).

„ბოლშევიკი“ № 20.

*) დასასრული. იხ. „კომუნისტის“ № 275, 276.

[1]) ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. XXVII, გვ. 416-417.

[2]) ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. XXII, გვ. 194.

[1]) საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, გვ. 261—262.

# საფრანგეთის საავიაციო საწარმოთა მუშების მასობრივი დათხოვნა

**პარიზი,** 2 დეკემბერი (საკდესი). რეაქციულ „პარი სუარის" ინფორმაციით, არის ახალი ცნობები გაფიცული მუშების დათხოვნის შესახებ. ამ ცნობების მიხედვით, დათხოვნილია ტულუზის საავიაციო ქარხნების 2½ ათასი მუშა. დროებით დახურულია არჟანტეის, ვილაკუბლეს და სარტრუვილის საავიაციო საწარმოები. ფარმანის საწარმოებში 3 ათასი მუშიდან 705 კაცმა დღეს შესძლო მუშაობის დაწყება.

მუშები დაითხოვეს პარიზის მრავალ საწარმოში.

ნანტში დახურეს მრავალი სახელოსნო და ქარხანა. რომანში ლოკაუტი გამოუცხადეს ფეხსაცმლის ფაბრიკების 3 ათას მუშას. ბორდოში მრეწველობის სხვადასხვა დარგში დაითხოვეს ყველა პროფკავშირული აქტივისტი. სრული ლოკაუტია გამოცხადებული საავიაციო ქარხნებში.

# რეპრესიები მუშების წინააღმდეგ საფრანგეთში

**პარიზი,** 2 დეკემბერი (საკდესი). საფრანგეთში ყველგან საშინლად სდევნიან იმ მუშებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ საყოველთაო გაფიცვებში. მასობრივად აწყობენ ლოკაუტებს, ითხოვენ გაფიცულ მუშებს. მთელ რიგ შემთხვევებში ხელისუფლების ორგანოებმა სხვადასხვა საბაბით დააპატიმრეს პროფკავშირთა ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

როგორც დღეს „მატენი" იუწყება ქალაქ დიეპში დააპატიმრეს სამი პროფკავშირელი მოღვაწე: დოკერთა პროფკავშირის მდივანი დიუკრორკე, მეზღვაურთა პროფკავშირის მდივანი დელავი და პროფკავშირთა ადგილობრივი გაერთიანების მდივანი დიუფრიში. ყველა იმათ ბრალს სდებენ იმაში, რომ „ხელს უშლიდნენ შრომის თავისუფლებას".

# ფაშისტური იტალია ემუქრება საფრანგეთს

**რომი,** 2 დეკემბერი (საკდესი). ყველა იტალიური გაზეთი კვლავ ფართო კომენტარიებს უკეთებს ჩიანოს მიერ ფაშისტურ „პარლამენტში" წარმოთქმულ სიტყვას და „ამტკიცებს", რომ საფრანგეთის მიერ ტუნისის, სავოიის, კორსიკისა და ნიცის დაკავება თავის დროზე „უკანონო" იყო და რომ ყველა ეს ტერიტორია „იტალიის ხელში უნდა გადავიდეს".

ჩიანოსთან დაახლოებული რედაქტორი ლივორნოს გაზეთ „ტე-[illegible]

[illegible] ლიას ზიანი მიაყენოს". ყოველნაირად ამტკიცებს რა იტალიის „უფლებას" ექსპანსიაზე, ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფაშისტური იტალიის ტერიტორიული გაფართოება მხოლოდ საფრანგეთის ხარჯზე შეიძლება. თუ საფრანგეთი „მიუნხენის მშვიდობიანი გზით" წავა და იტალიას უდავიდარაბოდ გადასცემს მთელ რიგ თავის ტერიტორიებს, მაშინ, ანსალდოს სიტყვით, ყველაფერი რიგზე იქნება. თუ არა, მაშინ... ანსალდო აქ მრა-[illegible]

# ინგლისში ჩავიდა ლტოლვილ ებრაელ ბავშვთა პირველი ჯგუფი

**ლონდონი,** 2 დეკემბერი (საკდესი). [illegible]

# საპროტესტო მიტინგი ინგლისში ებრაელთა დევნის წინააღმდეგ გერმანიაში

**ლონდონი,** 2 დეკემბერი (საკდესი). [illegible]

# ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ახალი შემადგენლობა

**პრაღა,** 2 დეკემბერი (საკდესი). [illegible] სლოვაკიის მთავრობა დამტკიცებულია შემდეგი შემადგენლობით: ტისო — ავტონომიური მთავრობის პრემიერ - მინისტრი, შინაგან საქმე-[illegible]

[illegible] საშინაო პოლიტიკის ამოცანების სწრაფად და რადიკალურად გადაჭრა.

# ქალთა საბჭოები უმაღლეს სასწავლებლებთან

უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის ინიციატივით, თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტთან, ინდუსტრიულ ინსტიტუტთან და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან ჩამოყალიბებულია მეცნიერ-მუშაკთა ცოლების საბჭოები. საბჭოებში გაერთიანებულია 97 ქალი.

ქალთა საბჭოები მუშაობენ სტუდენტთა საერთო საცხოვრებლების, სასადილოების, საერთო სამყოფელი ადგილების კეთილმოწყობაზე, სანიტარულ - ჰიგიენური პირობების დაცვაზე და ყველა პირობის შექმნაზე იმისათვის, რომ სტუდენტებისა და მეცნიერ-მუშაკების შრომა უფრო ნაყოფიერი იყოს.

ამ საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად ქალთა საბჭოები აწყობენ ექსკურსიებს, ჯგუფურად სწავლობენ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიას და სხვ. ამასწინათ ქალთა საბჭოების ინიციატივით მოეწყო ექსკურსია ქალ. გორში ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის სახლის დასათვალიერებლად.

# ლუიჯი გალვანი

**(გარდაცვალების 140 წლისთავისათვის)**

მე-18 საუკუნის დამლევს აღმოჩენილ იქნა ისეთი მოვლენები ელექტრობის დარგში, რომლებმაც საფუძველი დაუდეს ახალ ეპოქას მეცნიერების განვითარებაში. ამ მოვლენებს **გალვანური** ეწოდებათ მათი აღმომჩენი იტალიელი მეცნიერი ლუიჯი გალვანის სახელის მიხედვით, რომლის გარდაცვალების დღიდან 1938 წლის 4 დეკემბერს სრულდება 140 წელი.

გალვანი დაიბადა ბოლონიაში (1737 წელს), აქ იგი გახდა მედიცინის პროფესორი, სწავლობდა შედარებით ანატომიას და ფიზიოლოგიას, და მოახდინა თავისი გენიალური აღმოჩენა. მის სახლზე ბოლონიაში გაკეთებული წარწერის მიხედვით, მან აღმოჩენა მოახდინა 1786 წლის სექტემბერში. გალვანიმ გასჭრა ბაყაყი და დადო იგი მაგიდაზე, სადაც იდგა ელექტრომანქანა, ე. ი. შუშის მბრუნავი დისკო. მოულოდნელად გალვანის ერთერთმა მოწაფემ მიუახლოვა ბაყაყს დანის პირი და დაინახა, რომ მისი კუნთები ძლიერ შეიკუმშნენ. ბაყაყის ლეშის მოულოდნელმა კრუნჩხვამ მიიქცია გალვანის ყურადღება. ზუსტი ცდების შემდეგ მან გამოარკვია, რომ დანის შეხება ბაყაყის კუნთების შეკუმშვას იწვევდა მხოლოდ იმ მომენტში, როდესაც ახლოსმდგომ მანქანიდან გამოვარდებოდა ხოლმე ელექტრობის ნაპერ-



წკალი. მკვდარი ბაყაყის მოძრაობის მიზეზი ელექტრობა აღმოჩნდა.

მაშინ გალვანიმ გამოიკვლია ატმოსფეროს ელექტრობის გავლენა ბაყაყის პრეპარირებულ კიდურებზე. ამისათვის მან კიდურებს შეუერთა გრძელი მავთული, რომელიც ჩამოშვებული იყო სახლის სახურავიდან. თვითეული გაელვება იწვევდა კუნთების შეკუმშვას და ბაყაყის თათების გაჭიმვას. თუმცა, ელვაც რომ არ იყო, ჭექა-ქუხილის ღრუბლების მოძრაობაც საკმაო იყო ხოლმე, რომ შეემჩნია ასეთივე შეკუმშვა.

მაგრამ ამ ცდების დროს გალვანიმ შემჩნია უცნაური მოვლენა. განკვეთილი ბაყაყები ჩამოკიდებული იყვნენ რკინის კავებით მესერზე, რომელიც შემოვლებული ჰქონდა გალვანის სახლს. კავები გაყრილი იყო ბაყაყების ხერხემლის ტვინში. კუნთების შეკუმშვა ხდებოდა ატმოსფეროს ელექტრობის განმუხტვათაგან სრულიად დამოუკიდებლად, წყნარ ულრუბლო ამინდშიც.

ამ ახალი ფაქტებით გაკვირვებულმა გალვანიმ გადასწყვიტა შეემოწმებინა დაკვირვებანი დახურულ შენობაში. მან განკვეთილი ბაყაყი დასდო რკინის ფირფიტაზე და ხერხემლის ტვინში გაუყარა ლითონის კავი: როდესაც კავი ეხებოდა რკინის ფირფიტას, ე. ი. როდესაც ცხოველის კუნთები და ნერვები შეერთდებოდნენ ხოლმე ელექტრობის გამტართა ჯაჭვით, კუნთები იკუმშებოდა. აქ არ იყო არც ელექტრომანქანა, არც ელვა, საერთოდ ელექტრობის არცერთი იმ დროს ცნობილი წყარო. ამიტომ გალვანის დასჭირდა აზროვნების განსაკუთრებული გამბედაობა, უნარი ძველ წარმოდგენათა უარყოფისა და ახლების შექმნისა იმისათვის, რომ ამ ჯაჭვში, რომელიც შექმნილი იყო ლითონის გამტარებისა და ცხოველის კუნთებისაგან, გამოერკვია განუწყვეტელი **ელექტროდენის** არსებობა.

ამ დენს ეწოდა გალვანური, გალვანის გენიალური ცდის აღსანიშნავად, რომელმაც კალობრიობას აღმოუჩინა ფიზიკურ მოვლენათა ახალი, მეცნიერებისა და ტექნიკისათვის მეტად მნიშვნელოვანი დარგი.

მერე რა იყო წყარო გალვანის მიერ აღმოჩენილი ელექტროდენისა? თვით გალვანიმ ელექტროდენის გაჩენა და ბაყაყის კუნთების შეკუმშვა განმარტა განსაკუთრებული **ცხოველური ელექტრობით.** სინამდვილეში აქ ძირითად როლს ასრულებდა ელექტრობის სულ სხვა წყარო, რომელიც აღმოჩენილ იქნა გალვანის ცდების გამოქვეყნების მცირე ხნის შემდეგ.

იმ მეცნიერთა შორის, რომლებმაც განავრძეს გალვანის ცდები, პირველი ადგილი ეჭირა ალესანდრო ვოლტას. ვოლტამ უწინარეს ყოვლისა ყურადღება მიაქცია ლითონის გამტარებს, რომლებშიაც გადიოდა გალვანის მიერ აღმოჩენილი ელექტროდენი.

ვოლტას აზრით, ლითონები წარმოადგენენ არა მარტო გამტარებს, არამედ, ელექტრობის ნამდვილ აღმძვრელებს: სწორედ ამაში მდგომარეობს მთავარი აღმოჩენა, და ეს თვალსაზრისი ვოლტამ დაუპირისპირა გალვანის აზრს „ცხოველური ელექტრობის" შესახებ.

მაგრამ გალვანი მაინც თავის უწინდელ აზრს ადგა. იგი ცდილობდა ეჩვენებინა, რომ მის ცდებში ელექტრობის წყაროს წარმოადგენს ცხოველური ელექტრობა. ამისათვის იგი უშუალოდ, ლითონის გამტარის გარეშე აერთებდა ცხოველის ნერვებსა და კუნთებს და ბაყაყსაც განკვეთდა ხოლმე არა ლითონის, არამედ შუშის დანით. ამ პირობებშიც ხდებოდა კუნთების შეკუმშვა, და ამგვარად მტკიცდებოდა გალვანის თეორია. მაგრამ ვოლტამ მთელი რიგი ბრწყინვალე ცდებით ცხადჰყო ელექტროდენის აღმოცენება ლითონის გამტარებში, რომელიმე ცოცხალი ქსოვილის ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე.

ვოლტას ცდები დამთავრდა იმით, რომ აღმოჩენილ იქნა **გალვანური ელემენტები,** ე. ი. მჟავაში ჩაშვებული ლითონის ორი ფირფიტა (მაგალითად, თუთიისა და სპილენძისა). ეს ელემენტები დიდი ხნის განმავლობაში იყვნენ ელექტროდენის ძირითადი წყარო და მათ უზრუნველჰყვეს ბრწყინვალე გამარჯვებანი ელექტრობის თეორიაში და ელექტროტექნიკის შექმნა მე-19 საუკუნეში. აქედან იწყება ელექტროდენის ისტორიული მსვლელობა: პირველ გალვანურ ელემენტებში წვრილი მავთულებიდან ასი ათასობით ვოლტის ძაბვის მაღალვოლტიან გადაცემამდე.

ჩვენს ქვეყანაში, სადაც მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მიღწევები ემსახურებიან ხალხის ბედნიერებასა და კეთილდღეობას, სოციალისტურ სახელმწიფოში, სადაც ელექტრობის დანერგვა წარმოებაში და მეურნეობის ყველა დარგების ელექტროფიკაცია აყვანილია განუზომელ სიმაღლეზე, ხალხი მადლობით იგონებს ლუიჯი გალვანის — ელექტრობის შესახებ მოძღვრების ერთერთ პიონერს.

**პროფ. ბ. კუზნეცოვი**



მაღალსამთო ლაშქრობის მონაწილენი ისვენებენ ტაქტიკური ვარჯიშობის შემდეგ. ფოტო თ. ფურცელაძისა

# მაღალსამთო ლაშქრობის მონაწილენი გორში

**გორი,** 3 დეკემბერი (**ტელეგრ. საკ. კორ.**). დღეს ორ საათზე თბილისიდან გორში ჩამოვიდნენ მაღალსამთო ლაშქრობის მონაწილენი.

სტუმრებს სადგურზე შეეგებნენ პარტრაიკომის მდივანი ამხ. ვ. ლოლაძე და ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ს. ბაზანდარაშვილი.

მოლაშქრეებმა დაათვალიერეს ბელადის სახლი, ყოფილი სასულიერო სასწავლებლის შენობა, სადაც სწავლობდა დიდი სტალინი და გაეცნენ ქალაქის მშენებლობას.

საღამოს 6 საათზე მოლაშქრენი უკანვე თბილისს გამოემგზავრნენ.

**ს. ჟურაშვილი**

# ესპანური მედალი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს

ბარსელონის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (ესპანეთი) მისი არსებობის ასი წლისთავზე დაამზადა სპეციალური სიგელები და მედალები.

ხალხთა სოლიდარობის გრძნობის გამოსახატავად ბარსელონის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ხსენებული სიგელები და მედალები დაუგზავნა მსოფლიოს ყველა თვალსაჩინო უმაღლეს სასწავლებლებს. საბჭოთა კავშირში ბარსელონის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო სიგელები და მედალები მიიღეს მოსკოვის, ლენინგრადის, ყაზანის, თბილისისა და ტაშკენტის სახელმწიფო უნივერსიტეტებმა და მოსკოვის სტალინის სახელობის სამრეწველო აკადემიამ.

# იანკა კუპალა სოხუმში

**სოხუმი,** 3 დეკემბერი (ტელეგრ. საკ. კორ.). სოხუმში ჩამოვიდა ბელორუსიის სახალხო პოეტი იანკა კუპალა, რომელიც ერთ თვეს წყალტუბოში ისვენებდა. ამხ. კუპალა აფხაზეთში დაჰყოფს ერთ თვეს და გაეცნობა აფხაზურ ფოლკლორს, პარალელურად იმუშავებს კინო-სცენარზე ბელორუსიის კინოსტუდიის შეკვეთით.

3 დეკემბერს მოეწყო ამხ. კუპალას შეხვედრა აფხაზეთის მწერლებთან.

**ზ. მერკვილაძე**

# დიდროს შრომები ქართულ ენაზე

მიმდინარე წელს ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება" სცემს დენი დიდროს წიგნს „პარადოქსი მსახიობზე". წიგნი გამოვა ამხ. ბ. გოგუას რედაქტორობით. თარგმანი შესრულებულია ივანე მაჭავარიანის მიერ.

გარდა ამისა, „საბჭოთა ხელოვნება" სცემს კოკლენის წიგნს — „აქტიორის ხელოვნება".

# საქდესის გასწორება

„კომუნისტის" 3 დეკემბრის ნომერში მოთავსებულ ინფორმაციაში სათაურით „მაღალსამთო ლაშქრობის მონაწილენი თბილისში" მეორე აბზაცი უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად:

„მეთაური ამხ. დიაკონოვი, კომისარი ამხ. ჩელოხსაევი და ორდენოსანი პარტიზანი ამხ. ორცხანოვი მიიღო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის თანამდებობის დროებით შემსრულებელმა დივიზიის მეთაურმა ამხ. ზუსმანოვიჩმა".

# ბოტვინიკის მეორე გამოსვლა

**ამსტერდამი,** 2 დეკემბერი (საკდესი). გუშინ როტერდამის ოტელ „კომაანსის" დარბაზში საბჭოთა გროსმაისტერმა მ. მ. ბოტვინიკმა მისცა ჭადრაკის ერთდროული თამაშის მეორე სეანსი. საბჭოთა გროსმაისტერის წინააღმდეგ თამაშობდა როტერდამის 25 უძლიერესი მოჭადრაკე. ბოტვინიკმა მოიგო 12 პარტია და წააგო ერთი პარტია. დანარჩენი პარტიები ყაიმით დამთავრდა.

4 დეკემბერს მ. ბოტვინიკი წავა ბრიუსელს, საიდანაც იგი ლენინგრადს გაემგზავრება.

# პუშკინის ლექსები აფხაზურ ენაზე

**სოხუმი,** (საკ. კორ.). აფხაზეთის მწერალთა კავშირი აფხაზურ ენაზე გამოსაცემად ამზადებს პუშკინის რჩეულ ლექსებს, რომელთაც რუსულიდან სთარგმნიან აფხაზი მწერლები დ. გულია და ლ. კუწნია. უკვე თარგმნილია 40-ზე მეტი ლექსი, მათ შორის „კავკასია", „სოფელი", „თავისუფლება" და სხვ.

წიგნს მომავალ წელს გამოსცემს აფხაზეთის სახელგამი.

# შემთხვევები

**სპეკულანტების ჯგუფის დაპატიმრება:** მიმდინარე წლის აგვისტოში მილიციის მე-10 განყოფილების მუშაკებმა აღმოაჩინეს სპეკულანტების ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ დ. ა. დავარაშვილი, მისი ცოლი მ. დავარაშვილი (მცხოვრ. ბაირამის ქ. № 30) და სურამიდან ჩამოსულნი ნ. კოჟიაშვილი და მ. მიხეილაშვილი. სპეკულანტები სისტემატურად ყიდულობდნენ თბილისის მაღაზიებში ფართალს, ფეხსაცმელს, მზა ტანსაცმელს და ფართო მოხმარების სხვა საქონელს, რომელსაც შემდეგ ჰყიდდნენ გადიდებულ ფასებში დავარაშვილის სახლში.

დავარაშვილების ბინაზე აღმოჩენილ იქნა ბევრი ფართალი, მზა ტანსაცმელი, აბრეშუმის ნაწარმი, ფეხსაცმელი და სხვა საქონელი, სულ 10.000 მანეთის ღირებულებისა. იქვე დააპატიმრეს მ. დავარაშვილი და სურამიდან ჩამოსული ორივე სპეკულანტი კოჟიაშვილი და მიხეილაშვილი. თვით ბინის პატრონი დ. დავარაშვილი მაშინ სახლში არ აღმოჩნდა, ხოლო შემდეგ იგი მიიმალა. კიროვის რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლომ ნ. კოჟიაშვილსა და მ. მიხეილაშვილს მიუსაჯა 7 წლის პატიმრობა თვითეულს, ხოლო მ. დავარაშვილს — 5 წლის პატიმრობა. დ. დავარაშვილის საქმე გამოყოფილი იყო მის პოვნამდე. რამდენიმე დღის წინათ დ. დავარაშვილი დააპატიმრეს მილიციის მე-10 განყოფილების თანამშრომლებმა. როგორც გამოირკვა, დ. დავარაშვილი იმალებოდა სხვადასხვა რაიონებში და ახლახან დაბრუნდა თბილისში. დ. დავარაშვილი მალე წარსდგება სასამართლოს წინაშე.

## სასამართლო

# მეორედ სასამართლოს წინაშე

დიდი ხნის ისტორია აქვს ამ საქმეს. საბრალდებო სკამზე 20 კაცი ზის.

შეხმატკბილებული „ოცეული" სხვადასხვა კომბინაციების საშუალებით სისტემატურად ითვისებდა დიდძალ სახელმწიფო თანხებს. „ოცეულში" შედიოდნენ თბილისის ყოფილ სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირის საამშენებლო კანტორის მესვეურები — გიორგი ალექსანდრეს-ძე სიმონიშვილი, ამირან პლატონის-ძე სულაქველიძე, ცოტნე სამსონის-ძე დადიანი, ნესტორ იოსების-ძე გელოვანი და სხვ.

ბრბოში, სამუშაოთა მწარმოებლების, მთავარი ინჟინრებისა და ტექნიკოსების გარდა, შედიოდნენ არტელის თავმჯდომარეები, მთავარი ბუხჰალტრები, ექსპედიტორები და სხვ.

ზემოაღნიშნულ პირებთან ერთად პასუხისგებაში მიცემული არიან — ნ. გ. კაპაჯიანცი, პ. კ. მარტიროსოვი, დ. გ. მახარაძე, ი. ა. პარუნაკიანი, პ. თ. ძიძიგური, თ. გ. ნაკაშიძე, ბ. კ. ჩხეიძე, მ. გ. კუპრავა, ა. ე. როსტევანოვი, შ. ა. ხაინდრავა, ხ. გ. მეიტარჯიევი, შ. ნ. კობესაშვილი, გ. ი. ხიმშიაშვილი, ბ. ი. ბესკოვიჩი, ნ. ი. ლოლაძე და გ. ზ. გამგონეიშვილი. კომბინატორებმა სხვადასხვა ყალბი-ფიქტიური ანგარიშების საშუალებით, რომლებსაც ისინი არტელების მეშვეობით ღებულობდნენ, სახელმწიფოს მოჰპარეს 170 ათას მანეთზე მეტი.

აღნიშნულ კომბინატორთა საქმე პირველად 1937 წელს გაირჩა, მაგრამ შემდეგ ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ და ექსპერტიზამ მათი კიდევ უფრო დიდი ბოროტმოქმედებები გამოააშკარავა. ამის გამო 1937 წელს გამოტანილი სასამართლოს დადგენილება გაუქმებულ იქნა და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეცა საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას.

20 ბრალდებულიდან შვიდს წაყენებული აქვს ბრალდება, გათვალისწინებული 1932 წლის 7 აგვისტოს კანონით.

3 დეკემბერს საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ამხ. ივ. სამთელაძის თავმჯდომარეობით და სახელმწიფო ბრალმდებლის პროკურორ ვალ. სიხარულიძის მონაწილეობით დაიწყო აღნიშნულ კომბინატორთა საჩვენებელი გასამართლება.

**მ. სურგულაძე**

# დღეს კინოებში

**ოქტომბერი** — „დიადი განთიადი"
**დამკვრელი** — „დიდი მოქალაქე"
**კომკავშირელი** — „მიტკა ლელიუკი"
**რ. ლუქსემბურგის სახ.** — „დიადი განთიადი".
**სპარტაკი** — „მიტკა ლელიუკი"
**26 კომუნარის სახ.** — „მეგობრები".

პირველი სეანსის დასაწყისი — „ოქტომბერში" საღამოს 6 საათზე, სხვა კინოთეატრებში — 6 საათსა და 30 წუთზე.

# პარტკალენდარი

**ლ. კეცხოველის სახელობის პარტ. განათლების სახლში**

**4 დეკემბერს:**

**მარქსიზმ-ლენინიზმის კაბინეტი** — ლექცია: „ფეიერბახის ფილოსოფიის ძირითადი მარცვალი და მისი შემდგომი განვითარება მარქსისა და ენგელსის შრომებში". რუსულ ენაზე, ლექტორი ამხ. ქუთელია. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

O

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 1260971, გაცემული იმავე რაიკომის მიერ ნადეჟდა ანთიმოზის-ასულ ჟვანიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

O

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს სამსონ ლუკას-ძე მაჩიტაძეს, ლეონტი სპირიდონის-ძე შულაძეს, შალვა ბესარიონის-ძე კურცხალიას და ბენიამინ ბესარიონის-ძე ჯულაკიძეს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. ყვავაძესთან (ძერჟინსკის ქ. № 8, მეორე სართული).

# ქვანახშირი და მარგანეცი

**2 დეკემბრისათვის**

(ტონობით)

| | გეგმა | შესრულება | %% |
|---|---|---|---|
| ტყიბული | 1012 | 1067 | 105,4 |
| ტყვარჩელი | 732 | 900 | 123 |
| ჭიათურა | 5530 | 4931 | 89 |

პასუხისმგებელი რედაქტორი **ვ. ხატიაშვილი**


**მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი**

| | |
|---|---|
| 4/XII | ურიელ აკოსტა |
| 5/XII | ნაპერწკლიდან |
| 6/XII | კოლმეურნის ქორწინება |

დასაწყისი 8 საათზე. სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

**თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი**

| 4/XII | 5/XII | 6/XII |
|---|---|---|
| მუდმ. ადგ. ტალ. № 34 | მუდმ. ადგ. ტალ. № 40 | მუდმ. ადგ. ტალ. № 41 |
| აბ. სერ. № 5 | აბ. სერ. № 7 | |
| ესმერალდა | სევილიელი დალაქი | კარმენ |

დასაწყისი 8 საათზე.

**რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1938-39 წ. სეზონი**

| | |
|---|---|
| 4/XII | წარმოდგენა 63 ოტელო |
| 5/XII | წარმოდგენა 64 ნაპერწკლიდან |
| 6/XII | წარმოდგენა 65 უდანაშაულოდ დამნაშავენი |
| 6/XII | მე-2 აბ. მე-3 წარმოდგენა დღის წარმოდგენა ფოლადაური დასაწყ. დღის 12 ს. |

დასაწყისი 8 საათზე. სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე, ხოლო წარმოდგენის დღეს დილის 10 საათიდან.

**ექიმი გ. ნ. ონანოვი**

ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის მკურნალობა.

ავადმყოფების მიღება 6-დან 8 საათამდე, ნინოშვილის ქ. (ყოფ. ალექსანდროვის), № 5.

5—2 21901

**ქუთაისის სახელმწიფო თეატრი** 1938-39 წ. წ. სეზონი

5 დეკემბერს **პრემიერა**

პ. კაკაბაძის

**კოლმეურნის ქორწინება**

3 მოქმ. 4 სურ.

დადგმა: გ. სულიაშვილის, მხატვარი: კ. სანაძე, კომპოზიტორი — თ. ვახვახიშვილი.

მორიგი პრემიერა: უ. შექსპირის „ოტელო".

22189 **დირექცია.**

**საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საბჭო აცხადებს,** რომ ა. წ. 27 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ინსტიტუტის კლუბში (მარის ქუჩა, № 35) ინსტიტუტის საბჭოს ღია სხდომაზე დაიცავენ დისერტაციას შემდეგი პირები:

1) აზერბაიჯანის სას.-სამ. ინსტიტუტის ასისტენტი **რაჯიბ ასადოღლი მამედოვი** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, — თემაზე: „ყურძნის ტრანსპორტირების საფუძვლები". ოპონენტები: პროფესორი **ს. მ. ჩოლოყაშვილი** და პროფ. **კ. მეგრელიძე.**

2) საქართველოს ზოოვეტინსტიტუტის მეცნიერ მუშაკი **ნ. კ. გოცირიძე** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თემაზე: „მეგრული თხის წარმოშობისათვის". ოპონენტები: პროფ. **დ. აგლაძე** და დოც. **გ. პაპალაშვილი.**

3) სას.-სამ. ინსტიტუტის ასისტენტი **ფ. დ. მამფორია** ბიოლოგიური მეცნიერების კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თემაზე: „Poncirus trifoliata"-ს ციტოემბრიოლოგიური გამორკვევა". ოპონენტები: პროფ. **ლ. ლ. დეკაპრელევიჩი** და დოც. **გ. ფხაკაძე.**

მსურველებს შეუძლიათ შრომებს გაეცნონ ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში და საბჭოს სწავლულ მდივანთან დოც. გ. ჯაფარიძესთან.

**საქ. ლ. პ. ბერიას სახელობის სახელმწიფო სას.-სამ. ინსტიტუტის დირექტორი დოც. ნ. გელაშვილი.**

1385

გაზ. „კომუნისტის" რედაქციასთან არსებული ძირეული პრესის მუშაკთა მოსამზადებელი ოთხთვიანი კურსების მსმენელთა

**მორიგი მეცადინეობა**

შესდგება რედაქციის ბინაზე (რუსთაველის პროსპექტი, 16) დღეს, 4 დეკემბერს, საღამოს სრულ 7 საათზე.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების მიერ გამოყოფილი ამხანაგები ვალდებული არიან დაუგვიანებლად გამოცხადდნენ მეცადინეობაზე.

**თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

**სპექტაკლები სსრკ მოსკოვის ლენინის ორდენოსანი დიდი საოპერო თეატრის სოლისტის დავით ბადრიძის მონაწილეობით**

| | |
|---|---|
| 8 დეკემბერს რიგოლეტო | 11 დეკემბერს სევილიელი დალაქი |
| 16 დეკემბერს რიგოლეტო | 18 დეკემბერს დაისი |

დაწყებულია ბილეთების წინასწარ გაყიდვა ყველა გამოცხადებულ სპექტაკლზე.

70

**საქ. ჯანსახკომის მედგანათლების სამმართველო აცხადებს, რომ**

**ქალაქ თბილისში იხსნება თბილისის ბავშვთა კონსულტაციების საპატრონაჟო დების შვიდ-თვიანი კურსები,**

**სადაც მიიღებიან არანაკლებ 6 კლასის განათლების მქონე ქალები 17 წლის ასაკიდან 40 წლამდე.**

მეცადინეობა დაიწყება 7 დეკემბრიდან საღამოს საათებში. მსმენელები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით.

მსურველებმა უნდა შემოიტანონ განცხადება საზებიო სკოლის კანცელარიაში ამხ. ციციშვილთან დილის 10 საათიდან საღამოს 4 საათამდე (მელიქიშვილის ქ. № 9) შემდეგი საბუთებით: 1. განათლების, 2. დაბადების და 3. ჯანმრთელობის.

22194



მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34 ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04 ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფმხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ე—228